საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 ნოემბერი, 2015 წელი.

№208 (7853)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

გასარეკული „ოცნება“ და ②

დამნუსრებული „ნაცმოძრაობა“,

ანუ როგორ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში

დოკუმენტის ჩაგდების მოსურნეებს

წამების კადრების „ნაციონალური“ განმარტება ③

„აბარეტის“ აღებას სპეცრაზმელები კი არა, ნიკა რურუა ცდილობს!

„რეჟისორ“ სააკაშვილის „სპექტაკლი“ და უკრაინის გაღიზიანებული პრემიერი



„მიშა საქართველოში ასეთი წარმატებული თუ იყო, მაშინ ამისხენით, უკან რატომ ვერ ბრუნდება? რა მოუვიდა სასამართლო სისტემის რეფორმირებას საქართველოში?“ , — ასე გამოეხმაურა უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენი იაცენიუკი სააკაშვილის ბრალდებას იმის შესახებ, რომ პრემიერი უკრაინელ ოლიგარქებს, კერძოდ, იგორ კოლომოისკის ხელს უწყობს.

გამოცემა „პოლიტიკოსთან“ საუბარში იაცენიუკმა განაცხადა, რომ აღნიშნული ბრალდებები „მიშას დადგმული სპექტაკლია“.

ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ უკრაინის პრემიერი სააკაშვილზე საუბრისას გაღიზიანებას ვერ მალავდა.

უახლესი ისტორია

ომია. სივი ომი... ④

⊙ მხარდაჭერა

ჩვენს მთავრობას გაწონასწორებული რეაქცია მოუწონეს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საქართველოს შესახებ

აშშ კიდევ ერთხელ უცხადებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შემაჯამებელ განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც უწყების ვებგვერდზე აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა.

„ამერიკელმა თანათავმჯდომარეებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად და მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს მთავრობას, რუსული პროვოკაციების საპასუხოდ გაწონასწორებული რეაქციისთვის.

აშშ ასევე, კიდევ ერთხელ ადასტურებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის გზაზე და მიესალმება საქართველოს ძალისხმევას, იმუშაოს ევროკავშირთან ერთად „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ ხელშეკრულების სწრაფი იმპლემენტაციის მიზნით“, — ნათქვამია განცხადებაში.

კომისია მიესალმება საქართველოს მზარდ ეკონომიკურ როლს რეგიონში და კიდევ ერთხელ ადასტურებს თანამშრომლობის გაგრძელების აუცილებლობას, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამხრეთის დერეფნის მშენებლობის დასრულებისა და საქართველოში განახლებადი ენერგიის წყაროების შემდგომი განვითარების გზით.

„აშშ-საქართველოს ეკონომიკური პარტნიორობის შემდგომი გაღრმავების მიზნით, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები კონკრეტულ სფეროებში თანამშრომლობის კუთხით, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, განახლებადი ენერგიის, სოფლის მეურნეობის, გარემოს, ტურიზმის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, ინტელექტუალური საკუთრების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროებში“, — ნათქვამია განცხადებაში.

რაც შეეხება დემოკრატიის სფეროში არსებულ მდგომარეობას, კომისია დადებითად აფასებს საქართველოს რეფორმებს და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით დამატებითი ძალისხმევა გააძლიერებს ეკონომიკას, დემოკრატიასა და სასამართლო უზენაესობას.

„მხარეებმა იმსჯელეს ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისთვის სამართლიანი, თანაბარი და კონკურენტუნარიანი გარემოს აუცილებლობაზე 2016 წლის არჩევნებამდე, არჩევნების დროს და მის შემდეგ და შეთანხმდნენ, რომ მნიშვნელოვანია ღია, პრურალისტური და დამოუკიდებელი მედიასფეროს შენარჩუნება. მხარეებმა ასევე დაადასტურეს ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობის მნიშვნელობა“, — ნათქვამია განცხადებაში.

მხარეებმა აღნიშნეს საქართველოს პროგრესი ევროატლანტიკური მისწრაფებების გზაზე. აშშ-მა კიდევ ერთხელ დაადასტურა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ მისწრაფებებს მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა.

„ამერიკული მხარე მიესალმა აშშ-საქართველოს თანამშრომლობას საქართველოს საზღვრების გაძლიერების კუთხით, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში. მხარეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორში რეფორმების გატარების გაგრძელება, საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებების დაცვის მიზნით.

აშშ-მა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ავღანეთში ISAF-ისა და „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიებში შეტანილი წვლილისთვის და გაეროს სამშვიდობო ოპერაციებისადმი ერთგულებისთვის, და პატივი მიაგო იმ ერთობლივ მსხვერპლს, რომელიც ქართველმა ჯარისკაცებმა ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად გაიღეს. აშშ-მა მაღალი შეფასება მისცა იმას, თუ როგორ ზრუნავს საქართველო დაჭრილ სამხედროებზე და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აშშ გაგრძელებს ამ ძალისხმევის მხარდაჭერას“, — ნათქვამია განცხადებაში.

აშშ-მა და საქართველომ ასევე ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ საჭიროა თანამშრომლობა მონიტორინგისა და რეაგირების კუთხით საქართველოში რუსეთის მიერ დაფინანსებულ აქტივობებზე საპასუხოდ.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ლიგვის რესპუბლიკაში ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი დაიწყო

ვილნიუსის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს მთავრობის მეთაურს ლიტვის ეკონომიკის მინისტრი ევალდას გუსტასი დახვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ლიტვას სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ეწვია, რომლის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი – ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ ჯანელიძე შედიან.

საქართველოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ეწვევა

დღეს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ეწვევა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, დაგეგმილია საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა პირისპირ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანის პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდება.

დაგეგმილია შეხვედრა საქართველოს პატრიარქთან ილია მეორესთან.

◎ ევროპისკენ მიმავალ გზაზე

ევროკავშირი-საძართველოს საპარლამენტო ასოციირების კომიტეტმა რეზოლუცია მიიღო, რომელიც ქართველი დეპუტატების განმარტებით, ვიზა-ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ევროკავშირში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი საფუძველი იქნება.

ევროპარლამენტარებმა დოკუმენტი მუხლობრივად ქართველ კანონმდებლებთან ერთად საქართველოს პარლამენტში გაიარეს, რომელსაც წინ იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიგი გიგიაძის მოხსენებები უსწრებდა.

ასოცირების კომიტეტის პირველ სხდომაზე თეა წულუკიანმა ყურადღება ქვეყანაში გატარებულ რეფორმებზე გაამახვილა, აქცენტი მომავალი მთავრობის მემკვიდრეობაზე გააკეთა და პატიმრების ყოფაზეც ისაუბრა.

მინისტრის განცხადებით, ევროპა ქართველი ხალხის არჩევანია და, ქვეყანას დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული, დღემდე ისეთი მთავრობა არ ჰყოლია, რომელმაც ამ გზას გადაუხვია.

„როცა ხელისუფლებაში მოვედით, ციხეებში გაუსაძლის მდგომარეობაში 25 ათასამდე ადამიანი იმყოფებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველი მე-200 ქართველი ციხეში იჯდა. ჩვენ 10 ათასი ადამიანი ციხეებიდან გავათავისუფლეთ. საქართველოში სისხლის სამართლის სასჯელი უფრო სამართლიანი გავხადეთ. ყოფილ პატიმრებს ვასწავლით, როგორ უნდა იარონ ქუჩაში წელგამართულებმა და ისაუბრონ ნორმალურ ხმაზე, რადგან მათ წლების მანძილზე, ციხეებში ჩურჩულს აიძულებდნენ“, – დასძინა წულუკიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თუკი წინა ხელისუფლების პირობებში, სტრასბურგის სასამართლოში 600-მდე საჩივარი შედიოდა, შარშან, მხოლოდ 102 ახალი საჩივარი შევიდა.

მინისტრის მტკიცებით, „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებას რწმენა ჩაუნერგა, რომ ხელისუფლებები არჩევნების გზით ირჩევიან და რევოლუცია და დესტაბილიზაცია არ იქნება.

„გაისად მთავრობაში ვინც უნდა მოვიდეს, მხოლოდ ევროპული მთავრობა იქნება, რადგან ეს ქართველი ხალხის არჩევანია. ის უკვე პატარა დარჩენილ პრობლემებზე იმუშავებს, რადგან წარსულის ძირითადი პრობლემები მოგვარებული იქნება“, – დასძინა წულუკიანმა, რომლის მსგავსად, გიგიაძემ აქცენტი გატარებულ რეფორმებზე გაამახვილა და იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოს შეფასება განხორციელებული სამუშაოს ადეკვატურად მოხდება.

მთავრობის წარმომადგენლების გამოსვლების შემდეგ, კომიტეტის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სხდომაზე ნაციონალებმა ყურადღება „რუსთავი-2“-ის თემაზე, ე.წ. პოლიტპატიმრებსა და ნაციონალური მოძრაობის ოფისებზე განხორციელებულ თავდასხმაზე გაამახვილეს, რის შემდეგაც ქართველმა და ევროპელმა პოლიტიკოსებმა რეზოლუციის შინაარსზე იმსჯელეს. ევროპარლამენტარმა კოზმა ზლოტოვსკიმ დოკუმენტში „რუსთავი-2“-ის საკითხის დამატება მოითხოვა, მაგრამ მას ასოცირების კომიტეტის თანათავმჯდომარემ საჯად კარიმმა განუმარტა, რომ რეზოლუციაში დამატება ვერ შევიდოდა, რადგან ამას პროცედურა არ ითვალისწინებდა.

გასარეკული „ოცნება“ და დაძლეული „ნაცმოძრაობა“,

ანუ როგორ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში დოკუმენტის ჩაგდების მოსურნეებს

დოკუმენტის არსებული სახით მიღებამ ნაციონალები გაღიზიანა, მათ შორის, დეპუტატი თინა ბოკუჩავა. კანონმდებელმა საკუთარი პროტესტი ევროპარლამენტარებთან პირად საუბრებში დააფიქსირა.

ნაციონალების პოლიტიკურ ინტერესებზე for.ge-თან საუბარში ყურადღება უმრავლესობის ლიდერმა და კომიტეტის თანათავმჯდომარემ ზვიად კვაჭანტირაძემ გაამახვილა.

კანონმდებლის განმარტებით, მიღებული რეზოლუცია არის ასოცირების კომიტეტის დასკვნითი რეკომენდაციები, რომელიც ერთ-ერთი საფუძველი იქნება ევროკავშირში პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად.

დეპუტატის მოსაზრებით, ძალიან კარგი დოკუმენტი მომზადდა და ევროპარლამენტარებმა საჭიროდ არ ჩათვალეს, რომ რეზოლუციაში „რუსთავი-2“ მოეხსენიებინათ, რადგან მათ საქართველოში არსებული სიტუაცია ძალიან კარგად იციან.

კვაჭანტირაძის თქმით, ნაციონლები სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ, რადგან მათ დოკუმენტის ჩაგდება სურდათ.

„ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ კომიტეტის მუშაობა ჩაშლილიყო. ამას მოწმობს ისიც, რომ სააკაშვილის სამეგობრომ გადაწყვიტა, „ევროპის სახალხო პარტიის“ 17 წარმომადგენლიდან მხოლოდ ერთი დასწრებოდა. რატომღაც ეგონათ, რომ ერთ წარმომადგენელს ატომური ბომბის ეფექტი ექნებოდა და ის ყველაფერს ჩაშლიდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ ევროპაში ბევრი მეგობარი გვყავს, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი საქართველოს ინტერესებია და არა რომელიმე პარტიის“, – აღნიშნავს კვაჭანტირაძე, რომლის მიერ გაჟღერებულ ბრალდებას უარყოფს ნაციონალი თინა ბოკუჩავა.

for.ge-თან საუბარში ბოკუჩავა აცხადებს, რომ ყველა დოკუმენტი, რომელსაც ევროპული სტრუქტურები ამზადებენ, ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დეპუტატის თქმით, დოკუმენტი ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოში მედიის თავისუფლება გარანტირებული უნდა იყოს.

რაც შეეხება რეზოლუციის შინაარსს, დიდი მცდელობის მიუხედავად, for.ge-მ დოკუმენტის მოპოვება ვერ შეძლო. დოკუმენტი პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის აპარატს უნდა ჩაესწორებინა და გამოექვეყნებინა, თუმცა, ხუთსაათიანი ლოდინის მიუხედავად, მათ ტექსტი არ მოგვაწოდეს. ერთ-ერთ მიზეზად ის დასახელდა, რომ რეზოლუციას ზვიად კვაჭანტირაძე უნდა გაცნობოდა, რომელიც ამ დროის მანძილზე, „მნიშვნელოვან შეხვედრაზე“ იმყოფებოდა.

თეონა მანაგაძე

◎ სააკაშვილი – თანამედროვე კრონოსი

სალომე ზურაბიშვილი: ნაციონალური მოძრაობა მიშამ რეალურად გაანადგურა!

ვის უნდა, რომ წასული ლიდერის ხუშტურების გამო თვითონ ალმოჩნდეს სახიფათო მდგომარეობაში და დაბრალდეს სახელმწიფო წესრიგის დარღვევისკენ მიმართული განცხადებები! ანუ ნაციონალური მოძრაობა მიშამ რეალურად გაანადგურა! – სალომე ზურაბიშვილი უკრაინული საიტის მიერ მიხეილ სააკაშვილის აუდიოჩანაწერების გავრცელებას გამოეხმაურა.

სააკაშვილის საუბრები!!!!!!...

შეურაცხადი რომ იყო, ეს ვიცოდით და ამაში არაფერია ახალი, გარდა იმისა, რომ უკრაინელები ჯერ ვერ მიუხვდნენ და არ ესმით, რამდენად სახიფათოა მათთვის ასეთ ადგილას ასეთი ადამიანის დიდხანს დატოვება (თუმცა, ჯერ ზოგმა ქართველმაც ვერ გაიგო ეს ელემენტარული ჭეშმარიტება).

როგორც ამ საუბრებიდან ჩანს, რუსებმაც დაიწყეს მისი ხელახლა გამოყენება (მას რომ ჰგონია, რუსეთს და ამერიკას „ვათამაშებო“ და სინამდვილეში კი მათ მარიონეტად არის გამოყენებული“) და არავინ იცის, რუსეთის არხებზე გახმაურებულ საუბრებს როგორ გამოიყენებს კრემლი საქართველოს წინააღმდეგ, მეტადრე რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების ტრაგედიის შემდეგ!

ყველაზე საინტერესო და ახალი ამ ყველაფერში მაინც მეჩვენება ბიზნესწილებზე გაკეთებულ კომენტარები!!!!

ხელისუფლების ადგილას სასწრაფოდ დავიწყებდი გამოძიებას (რაღას უნდა ველოდოთ!) და ამ ფირების საფუძველზე შვეიცარიას ვთხოვდი რამდენიმე ანგარიშის გახსნას!

ბევრი სხვა რამეც არის გასაანალიზებელი, თუ ამ ფირების ავთენტურობა დადგინდა (ვგულისხმობ მთლიანობაში და დეტალურად, თორემ საუბრების არსებობას არავინ დავობს უკვე), ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი, რაზედაც დიდი ხანია, ეჭვი გვაქვს და მტკიცებულებები გვაკლია! წერს ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში.

◎ ინფორმაცია

საქართველო მზად არის, განიხილოს ფედერაციული მოწყობა, სადაც აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება

ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა საქართველო-ევროკავშირის ასოციირების კომიტეტის პირველი შეხვედრის მეორე სესიაზე გამოსვლისას განაცხადა.

„ჩვენ გვინდა, შევთავაზოთ ჩვენს მოსახლეობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კონსტიტუციის ფარგლებში მივაღწიოთ მათი როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო უფლებების დაცვას. საქართველო მზად არის, განიხილოს და ჩვენ გვაქვს კიდევაც გარკვეული ხედვები, მოსაზრებები, თუ როგორი შეიძლება იყოს საქართველოს ფედერაციული მოწყობა, სადაც აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება. ამაზე ცოტა არ არის ნამუშევარი ჩვენს ოპონენტებთან ერთადაც კი. ასე რომ, ჩვენ ნამდვილად მზად ვართ, გვქონდეს მეტი გახსნილობა ამ მიმართულებით“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა და დასძინა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ევროპული სტანდარტები და ხედვები, თუ როგორი შეიძლება იყოს ფედერაციული მოწყობა.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● სოფო ნიჟარაძისა და ნოდარ მელაძის დისკრედიტაცია სცადა ფსბ-მ, მაგრამ ინგა გრიგოლია თვალების ამოწიწკნით დაიმუქრა და გადაიფიქრეს.

გრიგოლია გვყოლოდა კრწანისის ბრძოლაში და ნოდარიკო აღა მაჰმად ხანს ჩაეგდო ტყვედ, რას გადავრჩებოდით!!!

ვიტყოდი ვაი ჩვენს პატრონსო, მარა გვყაავს, ვისაც ვაი უნდა ვუთხრა?

● ორი უკიდურესობა – თოფაძე და ხიდაშელი.

ერთი „საოცარ“ განცხადებებს „აკეთებს“, მეორე „საოცარ დემოკრატიას“ ქმნის!

ბატონო ბიძინა, რამე რომ იყოს, ერთი აქცია ხომ არ ჩაგვეტარებინა ხელისუფლების გასაწმენდად?

● ეს იქნებ არცაა ქილიკის საბაბი,

თუმც გულში არ დამეტია,

გინახავთ თქვენ ბევრი ღიპი და ღაბაბი? –

ეს ჩვენი პარლამენტია!

● საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გადაწყდა:

1. ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გადახდისუუნარო მოსახლეობას (მთელი მოსახლეობის 95%) გაუყვანს ელექტროენერგიის ე.წ. ლევ ხაზებს;

2. ცოტა ხანში, ენერგეტიკის სამინისტრო ამ ხაზებს „აღმოაჩენს“ და მოსახლეობას გვარიანად დააჯარიმებს.

ცოტა ხნით მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩება და ბიუჯეტიც შეივსება.

● მიშას ვარამი:

რად გავჩნდი ადამიანად, რატომ არ მოველ ქინძადა?

● გივიმ თუ დაკითხვაზე პირი მოაღოოო.....

● მკვლელებს და მწამებლებს არ დააპატიმრებენ, ბოროტინო 2 არ დაიხურება და არც წართმეული არ დაუბრუნდება მესაკუთრეებს, არჩევნების გაყალბებაც იქნება, კორუფციაც სულ უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს და ვერანაირი პოლიტიკური ძალა ამ გარემოებას ვერ შეცვლის.

იკითხავთ, ალბათ, აბა რა გვეშველება, დავიღუპეთო?!

ერთადერთი გზა ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლისა, ზნეობრივი რევოლუციაა ჩვენს აზროვნებაში და არა პოლიტიკური ძალის ცვლილება, და ამ ზნეობრივ რევოლუციას მხოლოდ განათლება და რწმენა მოახდენს, ჯერ ვერც ერთ ამ კომპონენტში ვერ დავიძარით, იმიტომ რომ, ისევ სხვადასხვა რჯულის პოლიტიკურ ავანტიურისტებს შევყურებთ, როგორც მესიებს!!!

● USAფაშვილმა: ბიძინამ დაგვიფაროს ცალკე არჩევნებში მონაწილეობისაგანო!!!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

წამების კადრების „ნაციონალური“ განმარტება

„აბაროტის“ აღებას სპეცრაზმელები კი არა, ნიკა რურუა ცდილობს!

ნაციონალები წამების კადრების „გაადამიანურებას“ ცდილობენ და ახლახან აღმოჩენილ, ადამიანის ღირსების შემლახავ მასალებს გალში მომუშავე კონტრდაზვერვის ჯგუფს უკავშირებენ, რომელიც თურმე სეპარატისტებისთვის „აბაროტის“ აღებას ცდილობდა.

საზოგადოებისთვის სწორედ ამ ვერსიის მიწოდებისათვის იღვწის ნაციონალების დროინდელი კულტურის ექსმინისტრი, საზოგადოებრივი მოძრაობა „იბერიის“ თანადამფუძნებელი ნიკა რურუა. მას აინტერესებს, რა მოტივით გაავრცელა ეს კადრები „ქართულმა ოცნებამ“, საერთოდ, რა არის ამ კადრების გადაღების, ამ სადისტური საქმის ჩადენის მოტივი და რატომ გაკეთდა ეს მაინცდამაინც საოკუპაციო ხაზთან?!

„ჩემი ინფორმაციით, ეს არის კონტრდაზვერვის, გალში მომუშავე ერთი ჯგუფის ინიციატივა. მათ ამ სრულიად კრეტინული მეთოდით, რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლებსა და სეპარატისტებს გადაუხადეს სამაგიერო, რადგან ისინი ქართველ აგენტებს სწორედ ასევე იჭერდნენ, აუპატიურებდნენ, უღებდნენ და შემდეგ ხვრეტდნენ კიდეც. ამ ჯგუფმა ამის ჩადენითა და გადაღებით, თავისი ჭკუით, „აბაროტი“ აიღო. ჯერჯერობით, სულ ეს ინფორმაცია მოვიპოვე ამ თემაზე. რა თქმა უნდა, ეს არავის დანაშაულს არ ამსუბუქებს. უბრალოდ, როგორც გავარკვიე, ასეთია ამ კადრების წარმომავლობა. აი, ეს არის სპეცსამსახურების მხრიდან სამსახურებრივი გადაცდომისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ქეისი, რაც აღარ უნდა განმეორდეს“, — აცხადებს ნიკა რურუა და „კადრებში გადაღებული სეპარატისტებისა და რუსების აგენტების“ პოლიტიკურ თამაშებში გამოყენებას ამორალურს უწოდებს. პარალელურად თვლის, რომ ამ ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ფსიქოლოგიური ქიმერებისა და ემოციური პორნოგრაფიის სათავისოდ გამოყენება.

იყო თუ არა ეს კადრები „ერთი თავზეხელაღებული ჯგუფის სადიზმი, რომელიც მხოლოდ გალის მიმართულებით მუშაობდა?!“ — ნიკა რურუას ამ ვერსიისგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ უფლებადამცველებსა და პოლიტპატიმრებს.

ადვოკატი **გელა ნიკოლაიშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ნაციონალების მცდელობა, ეს კადრები მხოლოდ გალში მომუშავე კონტრდაზვერვის ჯგუფს დაუკავშირონ, ნაციონალებს სულაც არ ამართლებს.

„ასეც რომ იყოს და მხოლოდ საოკუპაციო ზონასთან მომხდარიყო ასეთი ფაქტები, ამას მაინც არანაირი გამართლება არა აქვს. კონკრეტულად მაგ მეთოდით იქნებოდა თუ სხვა მეთოდით, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა მასობრივად იყო გავრცელებული ქართულ ციხეებში. მე მგონი, ამის უარყოფა ნიკა რურუასაც არ შეუძლია. რაც შეეხება გაუპატიურების ფაქტებს, თუ მაინცდამაინც აქცენტი მაგაზე აქვთ გადატანილი და მათთვის არ კმარა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა, ცალკეულ შემთხვევაში, ციხეებშიც ხდებოდა გაუპატიურების ფაქტები. კი ბატონო, ვადასტურებ, რომ ეს სისტემატური და ყოველდღიური არ იყო, მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ძალიან სჭირდებოდათ, იყო ასეთი ფაქტები და ეს ხდებოდა დუბინკებით თუ ათასი სისაძაგლით. ამიტომ არ შეიძლება აპელირება, რომ ეს გალში ხდებოდა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არ იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, გალის სპეცრაზმელები არ იყვნენ დაკავშირებულნი ნაცმოძრაობასთან? აბა, ვისი სპეცრაზმელები იყვნენ, ბანგლადეშის თუ სხვა სახელმწიფოსი?“, — აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი.

ამასთან, განმარტავს, რომ ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლებიც აჭრიან თავებს ქალებს, ბავშვებს, ზოგადად, ადამიანებს, მაშინ ამ ლოგიკით, მათ მიმართაც ასეთივე მეთოდები უნდა იყოს გამოყენებული?! უფლებადამცველი იხსენებს სერგო თეთრაძის და სხვათა წამების ფაქტებს და განმარტავს, რომ დაზარალებულთა ნაწილი დღესაც ცოცხალია და ჩვენებებიც აქვთ მიცემული. უფრო მეტიც, გელა ნიკოლაიშვილი ნაციონალების დროს დაპატიმრებულ არმაზ ხარძიანზეც საუბრობს, რომელსაც ციხეში ყოფნისას უჩვენებდნენ ამ კადრებს და ემუქრებოდნენ, შენც ასე მოგივაო.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ყოფილი პოლიტპატიმარი **ვახტანგ მაისაია** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ნიკა რურუა და ძმანი მისნი, ვინც ასეთი ვერსიის შემოგდებას ცდილობენ, ეტყობა, არ ყოფილან გლდანის ციხეში, თორემ ეცოდინებოდათ, რომ კონტრდაზვერვის თანამშრომლები პერიოდულად შედიოდნენ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ამ სადისტურ კადრებს იღებდნენ და ამის შემდეგ ტოვებდნენ ციხეს. ამის შესახებ სერიოზული მტკიცებულებები არსებობს. ის ფაქტი, რომ სტრასბურგის სასამართლომ უკე განიხილა და წარმოებაში მიიღო ეს მტკიცებულებები, ადასტურებს, რაოდენ დიდი დანაშაული ხდებოდა გლდანის ციხეში.

„კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელები და მაშინდელი შემადგენლობა შემოდიოდა გლდანის ციხეში და ახორციელებდა არაკანონიერ ქმედებას. ამ ფაქტებს ვერავინ უარყოფს. თეთრაძე გლდანის ციხეში სწორედ მოდულიდან წამების შემდეგ მიიყვანეს და მერე უკვე გლდანის ციხის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა მოკლეს იგი, ის მანამდე იყო ნაწამები. სხვათა შორის, გლდანის შენობაში იყო სპეციალური წამების ოთახი, სადაც ხდებოდა ადამიანების დამუშავება. ეს მე ჩემი თვალით ვნახე, რადგან უშუალოდ მაჩვენეს და წამების ელემენტებიც საკუთარ თავზე ვიწვნიე არა მარტო მე, არამედ სხვებმაც. ჰკითხეთ შოთა აფხაიძეს, რომელიც, ასევე, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აწამეს გლდანის ციხეში, სადაც მიმდინარეობდა მასზე ფიზიკური ზეწოლა და დამუშავება. გლდანის № 8 ციხის უსაფრთხოების თანამშრომლებიც ადასტურებდნენ, რომ დააფიქსირეს კონტრდაზვერვის თანამშრომლების შესვლისა და გამოსვლის ფაქტები. ნათია კორკოტაძემ დააფიქსირა, როგორ შევიდნენ კონტრდაზვერვის თანამშრომლები გლდანის ციხეში, როგორ დააყენეს მანქანა გლდანის ციხის პარკინგის არეალში. ბუნებრივია, ღამის 12-დან 3 საათამდე კონტრდაზვერვის თანამშრომლები ციხეში საეეკვაოდ არ შევიდოდნენ. ჰკითხონ იმავე კონტრდაზვერვის თანამშრომლებს — ოთარ ორჯონიკიძეს, ვალერი ზუმბაძეს და ლადო დათაშვილს. სხვათა შორის, სასამართლო სხდომაზე დათაშვილმა ეს ფაქტი დაადასტურა. როდესაც ჰკითხეს, თქვენ აღიარებთ თუ არა, რომ ვახტანგ მაისაიასთან შეიყვანეთ რუსეთის ფედერალური სპეცსამსახურის თანამშრომელიო, დათაშვილს წამოსცდა და თქვა, ჩვენ გავიხუმრეთ, ეს იყო ხუმრობაო. მართალია, სასამართლო სხდომა დახურული იყო, მაგრამ ეს მოისმინეს ნათია კორკოტაძემ, ირაკლი ბატკუაშვილმა და სხვებმა“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

გაუგებარია, რას აკეთებს ნიკა გვარამია?!

საძართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის შესახებ მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებას გადაცემა „რვიანში“ ეხმიანება.

„ხელისუფლება „რუსთავი-2“-ს პრობლემად არ აქცევს. შეიძლება, ზოგიერთი შეეცადოს, რომ ეს ხელისუფლების პრობლემად აქციოს, მაგრამ ეს უშედეგოდ დასრულდება. ეს გასლავთ, ნამდვილად მესაკუთრეებს შორის დავა. მესაკუთრეებს შორის დავაში ყოველთვის იყო და არის გაუგებარი, რას აკეთებს ბატონი ნიკა გვარამია, რომელიც არც მესაკუთრეა და არც არასდროს ყოფილა, ის არის კომპანიის მენეჯერი და, აქედან გამომდინარე, მეჩვენება, რომ ის მეტისმეტად ახდენს ამ დავის პოლიტიზებას. რა თქმა უნდა, ისეთი მედიასაშუალების მესაკუთრეობაზე დავა, როგორიც „რუსთავი-2“-ია მთლად უყურადღებოდ და უკომენტაროდ ვერ ჩაივლის, მაგრამ ის აჟიოტაჟი, რასაც ეს ადამიანი ქმნის ამ დავის გარშემო, გაუგებარი იყო ჩემთვის, მაგრამ გარკვეულწილად გასაგები გახდა მას შემდეგ, რაც მან თავად დაადასტურა იმ საუბრის ჩანაწერის ავთენტურობა, რომელიც უკრაინაში გავრცელდა. როგორც ჩანს, ვიღაცას, ამ შემთხვევაში ბატონ გვარამიას, ჰქონდა დაგეგმილი ამ დავის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, რასაც მთავრობა არ დაუშვებს“, — განაცხადა წულუკიანმა.

გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერები საბოლოო არ არის!

საძართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით როგორც ტენდენცია გვიჩვენებს, უკრაინულ ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერებს გაგრძელება კვლავ ექნება.

ამის შესახებ სესიაშვილმა გადაცემაში „20/30“ განაცხადა. „რა სცენარსაც ფარულ ჩანაწერებში ვხედავთ, არის საგანგაშო და შეურაცხმყოფელი. დაველოდები გამოძიებას, თუმცა, როგორც ადამიანს, მოთმინების ფიალა მევსება. არ ვაპირებ საკანონმდებლო ორგანოში პოლიტიკურად გახრწნილი ძალის გვერდით ჯდომას, ამიტომ ჩვენ, ალბათ, პოლიტიკურ პოზიციებზე ჩამოვყალიბდებით. გამოძიებას რაც შეეხება, ვფიქრობ, ჩვენს უსაფრთხოების სამსახურებს აქვთ შესაბამისი ოპერატიული ინფორმაცია. როგორც ტენდენცია გვიჩვენებს, გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერები საბოლოო არ არის.“ — აღნიშნავს ირაკლი სესიაშვილი.

წინა ხელისუფლების დრო დასრულდა!

საძართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებს იმის შესახებ, რომ ხელისუფლება მედიაზე ზეწოლას ახორციელებს, პასუხობს და აღნიშნავს.

„ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს ხელისუფლებისგან არაფერი ემუქრებათ, მთავარია, მიხეილ სააკაშვილისგან არ დაგემუქროთ რამე იმიტომ, რომ ისეთ რაღაცეებს ვისმენ, ეჭვი მიჩნდება.

გახსოვთ, ალბათ, წინა ხელისუფლება იქამდეც კი მივიდა, რომ ანტენებს და თეფშებს უყადაღებდა მოსახლეობას. სადღაც სოფელში, გლეხის სახლში მივიდოდნენ და თეფშებს უსნიდნენ, რომ არ მიეღოთ სიგნალი გარკვეული არხებიდან, მადლობა ღმერთს, ეს დრო დასრულდა.“ — განაცხადა კობახიძემ გადაცემაში „არჩევანი.“

ინტერპრესი



ამჟამად — დათა ახალაია

უკრაინული საიტი http://uarevo.in.ua/ **სავარაუდოდ** შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსან დათა ახალაიასა და ადვოკატ რომეო საჯაიას შორის სატელეფონო საუბარს აქვეყნებს.

„200 კაცი იყო მოსული, მოვარდნილი ჩვენთან. ესენი წავიდნენ „რუსთავის“ შენობისკენ, სადაც ასეთი ინფორმაციაა, რომ გადააცმევენ სპეცნაზელებს ან კუნთიანებს სამოქალაქო ფორმას, ვითომ ხალხი მიცვივდა, რომ პოლიცია არ შეუშვან. დღეს დავრეკე და აკომ მითხრა, წამოვიდნენო“, — აღნიშნავს საჯაია.

ამ ჩანაწერის მიხედვით, ახალაია და საჯაია ხალხის მობილიზების შესახებ საუბრობენ. როგორც საჯაია ახალაიას ეუბნება, სამეგრელოში, ხობის გარდა, მობილიზებულია 400 ადამიანი, მათ შორის მისი ოფისიდან. ასევე საუბარია ვინმე ჭაკუას მიერ მობილიზებულ ხალხზე. ასევე, საჯაია აღნიშნავს, რომ „იკას აქვს სია“ და „ნუგოს ხალხი დაემატება“, მათ შორის არიან დანარჩენები. მანამდე კი, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით საუბრობენ. საჯაია ამბობს, რომ ნაწილი ხალხის „ამაღამვე, 50 ადამიანი მოდის“.

საუბრის ჩანაწერის ნაწილი მეგრულ ენაზეა.

ინტერპრესი

ომი.

მიაჩნიათ, რომ ცივი ომი XX საუკუნის ფენომენია და იგი დაიწყო 1946 წლის მარტში. მაგრამ ეს შეიძლება გადავიტანოთ ოცდაათი წლით უკან, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააკეთა პირველი განცხადება მსოფლიო ბატონობაზე. შეიძლება, უფრო შორსაც გავიხედოთ მსოფლიოს ბატონობასთან დაკავშირებით და არ შევცდეთ: საკითხი შეეხება რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებას მრავალი წლის განმავლობაში. ახლა რა ხდება?

აზრთა სხვადასხვაობა: 1946-1991 წლების ცივ ომში გაიმარჯვა დასავლეთმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უძღვებოდა, დამარცხდა სსრ კავშირი და სოციალიზმის სისტემა. თითქოსდა, აქ რაღაზე უნდა ვილაპარაკო?

მაგრამ ისტორიის ურთიერთდაპირისპირების გაანალიზება აუცილებელია, რათა რუსეთმა არ წააგოს ამჟამინდელი, შეიძლება, გადამწყვეტი ეტაპი. დასაწყისისთვის უნდა შევიმეცნოთ და ვაღიაროთ: საბჭოთა კავშირი კი არ „დაშლილა“, არამედ ის განადგურდა გარეშე მტრის — „მეხუთე კოლონის“ და სკკპ უმაღლესი ხელმძღვანელობის — გორბაჩოვის, იაკოვლევის, შევარდნაძის — ძალისხმევით.

თავისი უნდა მივუზღოთ ამერიკელების ანგარიშიანობას: მათ სწრაფად შეიგრძნეს საბჭოთა საზოგადოების „აქილევსის ქუსლი“ — ხელისუფლებასა და ხალხს შორის განკერძოებულობა, რომელიც 1945 წლის გამარჯვებული მაისის შემდეგ მალე გაჩნდა. მაშინ გამარჯვებული ხალხი ელოდებოდა სიმშვიდეს და ცხოვრების დონის ამაღლებას, მას კი კვლავ მოუწოდეს ქამრების მოჭერისაკენ. უნდა აღადგინო ათასობით ქალაქი და სოფელი, დანგრეული მეურნეობა. ეს გასაგები იყო. მაგრამ დაიწყო გამალებული შეიარაღება. რატომ ხალხმა არ იცოდა ამის შესახებ, რაც ცნობილი იყო სტალინისთვის — 1945 წლის 1 ივლისიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სსრ კავშირის წინააღმდეგ „წარმოუდგენელი“ მესამე მსოფლიო ომის წამოწყების გეგმის შესახებ, რომელიც მოამზადა ჩერჩილმა 1945 წლის გაზაფხულზე, როგორც ტრუმენის განზრახვის შესახებ — შეუტიოს სსრ კავშირს ატომური ბომბებით. ამის შესახებ „ზევით“ მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ. საზოგადოების უკმაყოფილება კი იზრდებოდა...

ამერიკელებმა გონივრულად გამოიყენეს განსაკუთრებით საშიში იარაღი: ხმები და ჭორები, ცილისწამება და გამონაგონები, ფალსიფიკაცია და სიცრუე. **ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების დოკუმენტები ხშირად იქმნებოდა აბსოლუტურად ცრუ გზავნილის საფუძველზე, თითქოს კრემლის ძირითადი გეგმა იყო „ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მთელ მსოფლიოში ახალი კომუნისტური რწმენის დამკვიდრების დაბრკოლების, განადგურება“.** თუმცა ომის დროს დაუძლურებულ სსრ კავშირს ახალი ბრძოლებისათვის აღარ ეცალა. ჩერჩილი თავის ფულტონის სიტყვაში ამბობდა: **„...იმ აზრსაც არ ვუშვებ, რომ გარდაუვალია ახალი ომი, მით უმეტეს უახლოეს მომავალში... არ მჯერა, რომ საბჭოთა რუსეთს ახალი ომი უნდოდეს“.** მაგრამ ის ცრუობდა. არა სსრ კავშირის გეგმებთან დაკავშირებით, არამედ თავისი გეგმების შესახებ. ომი, თუნდაც ცივი, სწყუროდა მასაც, ჰ. ტრუმენსაც.

ეროვნული უშიშროების საბჭოს 1948 წლის 18 აგვისტოს 20/1 სრულიად საიდუმლო დირექტივა **„ამერიკის შეერთებული შტატების მიზნები რუსეთთან დაკავშირებით“** შეიცავდა დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავდა ცივი ომის სტრატეგიასა და ტაქტიკას. განიხილებოდა როგორც სსრ კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის, ისე საბჭოთა ხელისუფლების არა ძალოვანი გზით დამხობის, ვარიანტები:„... არ არსებობს არანაირი დროებითი შეზღუდვები ჩვენი მიზნების მიღწევისათვის მშვიდობიანი გზით. არ არის რაიმე მკაცრი პერიოდულობა ომსა და მშვიდობას შორის, რომელიც გვაიძულებდა, მიგვეღწია დასახული მიზნისათვის გარკვეულ თარიღთან დაკავშირებით, — წინააღმდეგ შემთხვევაში — ომი...“

ეროვნული უშიშროების საბჭოს 1950 წლის 14 აპრილის 68 სრულიად საიდუმლო დირექტივის თანახმად, ცივი ომი სახელმწიფოს პოლიტიკის რანგში აიყვანეს: **„შემოთავაზებული პროგრამის წარმატება მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ჩვენი მთავრობა, ამერიკელი ხალხი და ყველა თავისუფალი ხალხი საბოლოო ჯამში აღიარონ, რომ ცივი ომი — ესაა სინამდვილეში ნამდვილი ომი, რომელშიც რისკზე მოდის თავისუფალი მსოფლიოს გადარჩენა“.**

ცივი ომის გასული ეტაპის კიდევ ერთი თავისებურება — მისი ორმაგი ხასიათი: შეტევა საბჭოთა სისტემაზე ხდებოდა არა მხოლოდ გარედან, არამედ შიგნიდანაც. „მეხუთე კოლონა“ და სსრ კავშირში გავლენის აგენტურა ყალიბდებოდა დამოუკიდებლადაც და ამერიკული სპეციალური ორგანოების მიერაც. 1948 წლის 18 ივნისს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს ეროვნული უშიშროების საბჭოს 10/2 დოქტრინა **„სპეციალური პროექტების განყოფილების შესახებ“.** მოქმედებდა რა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს სტრუქტურაში, მან მიიღო უფლება განახორციელოს ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა „ნებისმიერ საიდუმლო მოქმედებებთან, პროპაგანდასთან, ეკონომიკურ ომთან, პრევენტიულ აქტიურ მოქმედებებთან — საბოტაჟის, ანტისაბოტაჟის მოქმედებებთან, განადგურებასთან და ევაკუაციასთან, ძირგამომთხრელ საქმიანობასთან მტრული სახელმწიფოების მიმართ: დახმარება წინააღმდეგობის არალეგალური მოძრაობებისადმი, დევნილობაში პარტიზანებისადმი და თავისუფალი ჯგუფებისადმი, ადგილობრივი ანტიკომუნისტური ელემენტებისადმი, რომლებშიც თავისუფალი სამყაროს ქვეყნებში საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ“.



საბჭოთა კავშირმა ცივი ომის წაგება დაიწყო ჯერ კიდევ სტალინის დროს, როდესაც იგი ძირითად იდეოლოგიურ ხასიათის ატარებდა. ამ შეტაკებაში სსრ კავშირს ხელს უშლიდა მარქსიზმის დოგმატიზაცია, იმის ბრმა რწმენა, რომ სოციალიზმი თავისთავად დაასაფლავებს „დამპალ კაპიტალიზმს“. ცივი ომის ხრუშჩოვული პერიოდი — ესაა მოწინააღმდეგისთვის შეგნებული (თუ შეუგნებელი, ეს ახლა არც ისე მნიშვნელოვანია) კვერის დაკვრა. ხრუშჩოვის „სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის“ შედეგი იყო მოუფიქრებელი რეფორმები და ექსპერიმენტები მეურნეობის მართვაში, სკკპ-ის ორ — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — პარტიად დაყოფაში და ა.შ. ისინი ქმნიდნენ ცვლილებების ილუზიებს, სინამდვილეში კი ამუხრუჭებდნენ ქვეყნის განვითარებას. ხრუშჩოვის ქმედებათა ყველაზე მავნე შედეგი იყო მისი გამოსვლა სკკპ XX ყრილობაზე, რომელშიც მწარე სიმართლე აღრეული იყო ბოროტგანზრახულ სიცრუეში. ამ მომენტიდან ბევრი სამამულო და უცხოელი ისტორიკოსების, მწერლებისა და ჟურნალისტების ძალისხმევით დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, საბჭოთა ხელისუფლების, კომპარტიის, დიდი სამამულო ომის „შავი ისტორიის“ შექმნა, შეუცნობლობამდე დაამახინჯეს სტალინის სახე.

ხრუშჩოვმა გააოცა ქვეყანა, როდესაც დაბეჯითებით მოითხოვდა სკკპ უტოპიური მესამე პროგრამის მიღებას მისი დაპირებით — 1980 წლისთვის ააშენონ სსრ კავშირში კომუნიზმი. და არა სხვა ვინმემ, თავად ხრუშჩოვმა მოაწყო კარიბის კრიზისი და ლამის არ მოახდინა ბირთვული ომის პროვოცირება. ამბობენ, რომ 1964 წლის ნოემბერში ინგლისის პარლამენტში ზეიმობდნენ ჩერჩილის 90 წლისთავს, და ვიღაცამ შესთავაზა მასზე სადღეგრძელო, როგორც რუსეთის ყველაზე აშკარა მტერზე. ჩერჩილმა წამოიძახა: „სამწუხაროდ, არის ადამიანი, რომელმაც საბჭოთა ქვეყანას 1000-ჯერ მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე მე. ეს ნიკიტა ხრუშჩოვია. მოდით, მას დავუკრათ ტაში!“...

კომენტარების გარეშე დავტოვებ ეგრეთ წოდებული გამყინვარების პერიოდს, რომელიც თითქოს ბრეჟნევის დროს მოხდა, ქვეყნის მართვის ანდროპოვისა და ჩერნენკოს მოკლე ეტაპებს, რომელთაგანაც არაფერს არ უნდა დავლოდებოდით.

ვისაუბროთ ცივი ომის პერიოდზე, როდესაც ქვეყანას გორბაჩოვი მართავდა. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები მიისწრაფოდა, რაც შეიძლება მალე გაემარჯვა, ესე იგი ფაქტობრივად გაენადგურებინა საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირის ხელმძღვანელობა კი ნაბიჯ-ნაბიჯ ამბობდა უარს მტერთან ბრძოლაზე, იხევდა უკან, ეტყობა, იმედი ჰქონდა მხოლოდ იმისა, რომ ხალხი არ მიხვედრილიყო ღალატს დროზე ადრე.

დიახ, ბევრი რამ იყო გარდასაქმნელი. ბევრი ამბობს: **„გარდაქმნა საჭირო იყო, მაგრამ არა ასეთი, გადავიხადეთ და დღემდე ვიხდით ძვირად მისი ქაოსისა და მოუფიქრებლობისათვის“. ესე იგი, ერთი არაზუსტი სიტყვა — „მოუფიქრებლობა“.** გარდაქმნა კარგად იყო მოფიქრებული, იყო სტრატეგიული გეგმა, რომლის შესახებაც თავდაპირველად სრულად იცოდა მხოლოდ ორმა — იაკოვლევმა და გორბაჩოვმა, ცოტა მოგვიანებით კი — შევარდნაძემაც.

ერთიმეორის მიყოლებით ვკითხულობ ამ „სამეულის“ მემუარებს, პოლიტბიუროს წევრების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა მოგონებებს, უცხოელი ისტორიკოსების, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების წიგნებს. მოვახდინე წარსულის მოვლენების რეკონსტრუქცია — 1983 წლიდან, როდესაც გორბაჩოვი, მაშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში, შვიდი დღე ვიზიტით კანადაში იმყოფებოდა. მაშინ იქ სსრ კავშირის ელჩად იაკოვლევი მუშაობდა და, სავსებით შესაძლებელია, იყო ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის აგენტი, და მთელი ასი პროცენტით —ანტიკომუნისტი და ანტისაბჭოთა. ამას ის თავად აღიარებს წიგნებში „ბინდბუნდი“, „მწარე თასი“, „გარდაქმნა. 1985-1992 წლები“, „რჩეული ინტერვიუები“ და სხვა. სსრ კავშირის განადგურების სტრატეგია იაკოვლევმა გააცნო გორბაჩოვს საპროგრამო, თუმცა ჯერ კიდევ ფრთხილი ჩანაწერით „პოლიტიკური განვითარების იმპერატივი...“ 1985 წლის ბოლოს. როცა ის წაიკითხა, მთავარმა „გარდამქმნელმა“ არ გალანძღა და არც გაუგდია იაკოვლევი, არამედ მხოლოდ ასეთი დასკვნა გააკეთა: „ადრეა“. ერთი წლის შემდეგ გაჩნდა მისივე მკვახე და აღვირახსნილი „თეზისები გარდაქმნის ძირითადი მიზნების შესახებ“, რომელიც ანადგურებდა მარქსიზმსა და საბჭოთა სისტემას...

დღეს ჩემთვის, როგორც ბევრი სხვისთვისაც, ცხადია, რომ „გარდაქმნა“ ჩაფიქრებული იყო, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური შეთქმულება სსრ კავშირის განადგურების მიზნით. ექვს წელიწადნახევარში ძლიერი სახელმწიფოსაგან ცოტა რამღა დარჩა. შედეგები იგრძნობა დღემდე და კიდევ დიდხანს გვაგრძნობინებს თავს.

თავის წიგნებში იაკოვლევი ხშირად წერს, რომ მძიმე ცხოვრებით ცხოვრობდა: ფიქრობდა ერთს, ამბობდა მეორეს, აკეთებდა მესამეს. როგორც ამბობს, „ეშმაკობდა“, „მანიპულირებდა“, მარტივად თუ ვიტყვით — ცრუობდა. ამასვე აღიარებს მემუარებში გორბაჩოვიც.

საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა დადასტურებანი. აი, წიგნი სახელწოდებით **„ღალატი კრემლში. გორბაჩოვის ამერიკელებთან საიდუმლო შეთანხმებათა ოქმები“.** მისი ავტორები არიან დიდი ამერიკელი პოლიტოლოგი მ.ბეშლოსი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ს.ტელბოტი, რომელიც „გარდაქმნის“ ყველა წლის განმავლობაში მეურვეობდა მას. მათი წიგნი, თუ კარგად ჩავუკვირდებით, — ესაა განაჩენი გორბაჩოვს, აგრეთვე იაკოვლევსა და შევარდნაძეს.

გამოიცა დ.მეტლოკის მემუარები **„იმპერიის გარდაცვალება. ამერიკის ელჩის შეხედულება საბჭოთა კავშირის დაშლაზე“.** აი, რამდენიმე ამონაწერი ამ წიგნიდან. „ჩვენ ვიყავით სასიამოვნოდ გაოცებული, — წერს მეტლოკი, — როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ მოსკოვში ვხდებით საბჭოთა საზოგადოების ნაწილი. სტუმრები, ძირითადად საბჭოთა სტუმრები, ვიკრიბებოდით სპასო-ჰაუზის ჩვენს რეზიდენციაში ათჯერ და მეტჯერ კვირაში კონცერტებზე, ფილმებზე, სამხატვრო გამოფენებზე, საუზმეებსა და სადილებზე, შემდეგ — პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების განხილვაზე. ახალი პარლამენტის ჩამოყალიბებით მისი წევრები ხშირად დავობენ სადილის მაგიდასთან სპასო-ჰაუზში იმ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მოითხოვს ოფიციალურ განხილვას. საბჭოთა ხელმძღვანელებს ჩვენთან ურთიერთობა ჰქონდათ უფრო გულღიად, განიხილავდნენ თავიანთ გეგმებს, იმედებს, ზოგჯერ რჩევებსაც გვთხოვდნენ.

მეტლოკს მოჰყავს გორბაჩოვის სიტყვა ბუშთან შეხვედრაზე 1991 წლის 6 მაისს სადილზე ლონდონში ამერიკის საელჩოში, სადაც ის სთხოვს ბუშს, დაეხმაროს მას, გორბაჩოვს, მიიღოს 100 მილიარდი დოლარის კრედიტი. მეტლოკი წერს: **„გორბაჩოვმა ვერ შეძლო აეძულებინა თავი, ეთქვა პირდაპირ ის, რაც მის გონებას დაუფლებოდა სულ ცოტა 1989 წლიდან... მას რომ ეს გაეკეთებინა, ამით ხელს მოაწერდა თავისი თავისთვის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისათვის, სასიკვდილო განაჩენზე. მაგრამ რას იტყოდა, რომ შეძლებოდა?...**

მე, როგორც ადამიანი, რომელიც ახლოდან ადევნებდა თვალყურს მას რამდენიმე წლის განმავლობაში, მიმაჩნია, რომ ეს იქნებოდა რაღაც იმის მსგავსი, რაც ქვემოთ უნდა ვთქვა — ყოველ შემთხვევაში, იმის 95 პროცენტი, მისგან მოვისმინე ამა თუ იმ დროს, 5 პროცენტი კი ჩემი ვარაუდია“.

და გორბაჩოვი მეტლოკის სიტყვებით ამბობს: **„ვერასოდეს ვერ შევძლებ, ვთქვა ეს საჯაროდ, მაგრამ მე მართლაც მინდა გარდავქმნა ჩემი ქვეყანა თქვენი ნიმუშის მიხედვით... ბოლო უნდა მოვუღოთ ჩვენს ძველ სისტემას... მოსახლეობის უმრავლესობას ან არ ესმის ჩემი, ან გამოდის წინააღმდეგ... მომიწევს მანევრირე-**

ცივი ომი...

ბა... ჩემზე ნუ იფიქრებთ ცუდად, თუ ზოგჯერ სხვადასხვა ხმით ვილაპარაკებ... ვცდილობ, გავაკეთო ის, რაზეც თქვენ ლოცულობდით მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროიდან: ბოლო მოვუღოთ საბჭოთა სამხედრო საფრთხეს... ეს კი ხომ სწორედ ისაა, რის შესახებაც ოცნებობდით ათეული წლების განმავლობაში, თუმცა ყოველგვარი იმედის გარეშე, რომ ეს მოხდებოდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს თქვენ გინდათ. მე ასეთი მიზანი დავისახე".

წარმოსახვის ნაყოფია? რასაკვირველია, მაგრამ რამდენად ზუსტი? მე ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული".

წიგნის ბოლოს მეტლოკი ამბობს: **„... სცენარი ვაშინგტონში დაიწერა, და საეჭვოა, რომ ის შეიძლებოდა დაწერილიყო მოსკოვში – თუნდაც ისეთი დახელოვნებული ხელმძღვანელის მიერ, როგორიც მიხეილ გორბაჩოვია".**

და მაინც: რატომ შეიძლება ვისაუბროთ ცივი ომის გაგრძელების შესახებ, მის მორიგ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ 1991 წელს ელცინმა და უფროსმა ბუშმა განაცხადეს მისი დამთავრების შესახებ?

პასუხი, ჩემი აზრით, განისაზღვრება ცივი ომის, როგორც არა მხოლოდ XX საუკუნის, არამედ კაცობრიობის ომების მთელი ისტორიის, ფენომენი. მიზნების სტრუქტურით ცივი ომი ისევე, როგორც „ცხელი", ერთდროულად არის პოლიტიკური, იდეოლოგიური და დიპლომატიური ომი, ბრძოლა ცხოვრებისეული სივრცისათვის, გასაღები ბაზრისთვის და ა.შ. თუმცა ცივი ომის პრინციპული განსხვავება არ არის ის, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, გეოპოლიტიკურია.

სსრ კავშირის განადგურებით და აღმოსავლურ-ევროპული ბლოკის დანგრევით გეოპოლიტიკური ბალანსი დასავლეთის სასარგებლოდ შეიცვალა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ მოწინააღმდეგედ, როგორც იყო, ისევ რუსეთი დარჩა.

სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგიული ხასიათის პირველ დოკუმენტს 20/1, რომელიც უკვე იყო ციტირებული, ეწოდა **„ამერიკის შეერთებული შტატების მიზნები რუსეთთან დაკავშირებით", თუმცა მიმდინარეობდა 1948 წელი და სსრ კავშირის განადგურება მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. ასევე შემთხვევითი როდი იყო, რომ დოკუმენტის ავტორები წერდნენ: „მაგრამ ჩვენს წინაშე ძველებურად დგას საკითხი, რა უნდა გავაკეთოთ არაკომუნისტურ ხელისუფლებასთან, რომელიც შეიძლება დამყარდეს რუსეთის ნაწილზე ან რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, როგორც საბრძოლო მოქმედებათა შედეგი.**

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი არაკომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური საფუძვლისაგან და იმისგან დამოუკიდებლად, რამდენად დაუჭერენ მხარს ლიბერალიზმისა და დემოკრატიის იდეალებს, ჩვენ ამა თუ იმ ფორმით უნდა უზრუნველვყოთ ის, რის შესახებაც ზემოთ იყო აღნიშნული. ესე იგი, თუ დამკვიდრებული რეჟიმიც კი იქნება არაკომუნისტური და ფორმალურად მეგობრული ჩვენთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ შემდეგი: ა) ამგვარი რეჟიმისთვის დიდი საბრძოლო ძლიერების არქონა; ბ) მისი ძლიერი ეკონომიკური დამოკიდებულება გარე სამყაროსთან; გ) მცდელობის უქონლობა – დაამყაროს რკინის ფარდის მსგავსი რამ გარე სამყაროსთან კონტაქტების დროს.

თუ მოგვიწევს, რომ საქმე გვქონდეს რეჟიმთან, რომელიც ებრძვის კომუნიზმს და ჩვენთან დამოკიდებულებაში მეგობრულ რეჟიმს, ჩვენ, უეჭველია, უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ზემოაღნიშნული პირობების შესრულება მისთვის არ იყოს დამამცირებელი. თუმცა ამა თუ იმ ფორმით ჩვენ მაინც მოგვიწევს, თვალ-ყური ვადევნოთ მათს დაცვას, თუ გვინდა მშვიდობა და სტაბილურობა მთელ მსოფლიოში".

და ისინი ადევნებდნენ თვალ-ყურს, თანაც როგორ! გავიხსენოთ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები როგორ „ეხმარებოდა" რუსეთს ელცინის მმართველობის დროს. ჩვენი საგარეო პოლიტიკური და სამხედრო-დოქტრინალური დოკუმენტები იქმნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დოქტრინით, ატარებდა ვასალურ ხასიათს. „რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის საფუძვლებში" (1993 წ.) პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ რუსეთს არ ჰყავს სამხედრო მოწინააღმდეგეები და გარედან სამხედრო საფრთხეები. შეიარაღებული ძალები, ინდუსტრია მთლიანად დაჩქარებით ნადგურდებოდა. შოკური თერაპია, ქურდული პრივატიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების „მრჩეველთა" მეთვალყურეობით ყოველ სამინისტროსთან და გუბერნატორთან, მძარცველობითი კრედიტები. დამანგრეველი მუშაობა წარმოებდა რუსი ჩინოვნიკების ხელით, მაგრამ მითითებებით ვაშინგტონიდან. გამარჯვებულები აშკარად ძარცვავდნენ რუსეთს, განათავსებდნენ სამხედრო ბაზებს ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებში და ნატო მოჰყავდათ რუსეთის საზღვრებთან. განა ეს ცივი ომის გაგრძელება არაა?

აი, ამონარიდი პრეზიდენტ ბ. კლინტონის გამოსვლიდან შტატების უფროსთა კომიტეტის დახურულ სხდომაზე 1995 წლის 25 ოქტომბერს: **„... უახლოეს ათწლეულში მოგვიწევს შემდეგი პრობლემების გადაჭრა: რუსეთის დანაწევრება მცირე სახელმწიფოებად რეგიონთაშორისი ომების გზით იმის მსგავსად, რაც ორგანიზებული იყო ჩვენს მიერ იუგოსლავიაში; რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და არმიის საბოლოო დანგრევა, ჩვენთვის საჭირო რეჟიმების დამკვიდრება რუსეთიდან გამოყოფილ რესპუბლიკებში:**

დიახ, ჩვენ მივეცით რუსეთს შესაძლებლობა, იყოს ქვეყანა, მაგრამ იმპერია იქნება მხოლოდ ერთი ქვეყანა – ამერიკის შეერთებული შტატები".

დროის განმავლობაში (ათეული და ასეული წლებისა) ცივი ომის ცნება არ შეიძლება, რომ არ შეიცვალოს და იცვლება – ფართოვდება, ღრმავდება მისი მიზნებისა და ამოცანების, ფორმებისა და წარმართვის მეთოდებით. დღევანდელ ომს ცხელ-ცივს (ჰიბრიდულს) უწოდებენ, მხედველობაში აქვთ კონფლიქტიც უკრაინაში რუსეთის საზღვართან, შეიარაღებული მოქმედებები პლანეტის სხვა რეგიონებში. თუმცა მაინც პირდაპირ ჯერჯერობით არ იბრძვის არც ერთი დიდი ქვეყანა. თუმცა საერთაშორისო ურთიერთობათა გრადუსი ჩვენს თვალწინ იზრდება.

2003 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო „სწრაფი გლობალური დარტყმის" კონცეფცია – რამდენიმე ათასი მაღალი სიზუსტის ფრთოსანი რაკეტით დარტყმები რუსეთის სტრატეგიულ ბირთვულ ძალებსა და სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებზე საპასუხო დარტყმების თავიდან ასაცილებლად და მისი იძულებისათვის კაპიტულაციისათვის. ეს ძალიან რეალურად არ გეჩვენება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს ჰიროსიმასა და ნაგასაკის შესახებ.

ვლადიმერ პუტინის საგარეო პოლიტიკამ 2008 წლის მიუნჰენის სამიტიდან დაწყებული, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი გადაჭრით გამოვიდა ერთპოლარული მსოფლიოს წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მის მოკავშირეებში დიდი გაღიზიანება გამოიწვია. უკანასკნელი ერთი-ორი წლის განმავლობაში იგი გადმოიღვარა ცნობილ კონფლიქტებში ჩვენი ქვეყნის მახლობლად, ამერიკელებმა, მის სრულ იზოლაციაზე დაიწყეს ლაპარაკი.

მაგრამ ეს ასე არაა, და ჩვენი ეკონომიკა არ დანგრეულა. მოქმედებს ერთიანი ეკონომიკური სისტემა ყაზახეთთან, ბელარუსთან, ყირგიზეთთან და სომხეთთან, თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია, რომელიც რუსეთს, ჩინეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, უზბეკეთსა და ტაჯიკეთს აერთიანებს. განიხილეს საკითხი თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციაში ინდოეთისა და პაკისტანის მიღების შესახებ. ამ გაერთიანებისადმი ინტერესს, როგორც პუტინმა განაცხადა, კიდევ 12 ქვეყანა იჩენს.

როდესაც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოდიოდა, მისმა კოლეგამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ობამამ რუსეთი არსებული მსოფლიო წესრიგის საფრთხის სამ ქვეყანას შეუერთა. ადრე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა გააკეთა რეკომენდაცია გააძლიერონ რუსეთზე სანქცირებული ზემოქმედება, შეიმუშაონ ინფორმაციის გავრცელების სტრატეგია რუსულ ენაზე იმ ქვეყნებში, სადაც დიდია რუსულენოვანი მოსახლეობის წილი, მოუწოდა ნატოს წევრებსა და მის პატრონებს შეწყვიტონ რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობა. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში შეიქმნა ჯარების ახალი სახეობა – კიბერჯარები – 40 ათასი კაცის შემადგენლობით. ათობით მილიონობით დოლარია გამოყოფილი რუსეთში „დემოკრატიული ინსტიტუტების" მხარდასაჭერად და პროგრამების შექმნაზე რუსულ ენაზე ამერიკის მასობრივი ინფორმაციების საშუალებებში. იგეგმება ბევრი სხვა რამეც. ამავე დროს მუდმივადაა საუბარი „მსოფლიოში ამერიკული ლიდერობის შეუცვლელობაზე".

2015 წლის დასაწყისში მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სტრატეგია, სადაც ნათქვამია: **„ჩვენ ასევე გავზრდით დანახარჯებს რუსეთისთვის სანქციებისა და სხვა ზომების საშუალებით, რათა რუსეთის ყალბ პროპაგანდას დავუპირისპიროთ ყოველმხრივ შეულამაზებელი სიმართლე. ჩვენ შევაკავებთ რუსულ აგრესიას, ყურადღებით გავადევნებთ თვალ-ყურს მის სტრატეგიულ პოტენციალს, აუცილებლობის შემთხვევაში კი დავეხმარებით ჩვენს მოკავშირეებსა და პარტნიორებს, დაუპირისპირდნენ რუსულ იძულებას".** ამავე დროს არაერთხელ არის ხაზგასმული, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები გამოიყენებს სამხედრო ძალას ცალმხრივად, გაეროს გვერდის ავლით.

ამ დოქტრინალურ დოკუმენტში ორჯერაა აღნიშნული, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობამ და მისმა საგარეო პოლიტიკამ გამოატარა ცივი ომი და სათავე დაუდო დემოკრატიზაციის ეპოქას". სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკელები კვლავ გვაგრძნობინებენ, თითქოს ცივი ომი გავლილია...

მაგრამ, რაღას ნიშნავს ეს სტრატეგია, თუ არა განცხადებას რუსეთისთვის მისი განახლების შესახებ? „ამერიკის შეერთებული შტატების მიზნები რუსეთთან დაკავშირებით", რომელიც გადმოცემულია 1948 წლის 18 აგვისტოს ეროვნული უშიშროების საბჭოს 20/1 ოდესღაც სრულიად საიდუმლო დოკუმენტში, ჯერ ხომ არ შესრულებულა: განადგურებულია „წითელი საფრთხე" და საბჭოთა კავშირი, მაგრამ რუსეთი ცოცხალია, ძალას იკრებს.

ამერიკელებსა და მათთან ერთად „ოქროს მილიარდს" სურდათ, მოეტყუებინათ დანარჩენი მსოფლიო, დაეფარათ, რომ მსოფლიო ცივი ომი დიდი ხანია მიმდინარეობს. ახალი ეტაპის სპეციფიკა არის სწორედ ის, რომ ეს არის შეუმჩნეველი, ფარული, ამოუხსნელი და ბევრისთვის გაუგებარი ყოველდღიურად მიმდინარე ცვლილება. ომი ყოველთვის და ყველგან. ომი ომის გარეშე. მაგრამ ხალხს არ სურს დაიჯეროს, რომ ქვეყნებისა და ეკონომიკების, სამხედრო კონფლიქტების ნგრევების უკან დგას სულ რამდენიმე ათეულობით ვთქვათ, ასეულობით ადამიანის ჩანაფიქრი. მათ არ მოსდით თავში, რომ ლიბერალიზმი მის ამერიკულ შესრულებაში – ესაა ცივი ომის სახეობა დაჩქარებული გლობალიზაციის ფორმით, მსოფლიო ბატონობის მოპოვების ხერხი. რომ დემოკრატია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაქვს ფრთიანი რაკეტებით და ჯარისკაცების ხიშტებით – ეს არის XXI საუკუნის მითი, ისეთივე სახიფათო და სისხლიანი, როგორც ჰიტლერული გერმანიის იდეოლოგის ალფრედ როზენბერგის ფუნდამენტური ნაშრომი „XX საუკუნის მითი", რომ ამერიკულად ლიბერალიზმის იდეოლოგიამ თანამედროვე პირობებში დაიკავა ნაციზმისა და ფაშიზმის იდეოლოგიების ადგილი.

რუსეთს გამოწვევა გაუგზავნეს, და ეს გამოწვევა მიღებულია. 2014 წელს მოიწონეს „რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა", სადაც დასტურდება ქვეყნის მზადყოფნა – მიიღოს ბირთვული იარაღი იმ შემთხვევაშიც კი, თუ განხორციელდება უბირთვო აგრესია რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც სახელმწიფოს არსებობას ემუქრება.

და მაინც, ვფიქრობ, ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე აშინებს კაცობრიობას თავისი შეიარაღებული ძალებით, სტრატეგიებით, დოქტრინებითა და კონცეფციებით ძირითადად დემონსტრაციულად –„ათამაშებს კუნთებს" და უკიდურესობას გვერდს აუვლის. ხომ ცნობილია – „ცხელ" ომში გამარჯვებულები არ შეიძლება რომ იყვნენ. ყველაფერს მოევლება, ეტყობა, მხოლოდ ცივი ომის გაძლიერებით. მაგრამ – თუ ობიექტურად შევხედავთ – რუსეთმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მტერი ჩვენზე უძლურია, რომ სხვადასხვაგვარი „მეხუთე კოლონის" რიცხოვნობა ჩვენთან მრავალგზის გაიზარდა და იგი ბუდობს პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლების, ბიზნეს „ელიტის" ყველა სართულზე როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, რომ ლიბერალური რუსოფობების, რუსეთის მოძულეთა ძირითადი მასა – პოტენციური გამყიდველები – ელოდება თავის საათს. უკვე აღარ ვლაპარაკობ „ზომბების" შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელთა ნაწილისთვის მზე დასავლეთში ამოდის. და გვახსოვდეს მთავარი: ცივი ომი – ეს ყველაზე ნამდვილი ომია. ისეთივე, როგორიც 70 წლის წინათ გადავლილი დიდი სამამულო. გამარჯვებული და ქედუხრელი.

იგორ ილინსკი,
რუსეთის ინტელექტუალური კლუბის პრეზიდენტი, პროფესორი

Литературная газета

◎ კვალი ნათელი

დიდი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს ოთარ ლორთქიფანიძეს 85 წელი შეუსრულდებოდა



მომავალმა მეცნიერმა სკოლა 1948 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა და ჩაირიცხა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის სპეციალობით. აკად. სიმონ ყაუხჩიშვილთან სწავლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, რაც შემდგომში საფუძველი გახდა მისი ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიით გატაცებისა. ამ დარგში მოიპოვა მან შემდგომში დიდი წარმატებები, რასაც საერთაშორისო აღიარება მოჰყვა. 1953 წელს დატოვეს „საპროფესოროდ მოსამზადებლად" უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1955 წელს მიავლინეს დიდი სამეცნიერო ტრადიციების მქონე ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა ელინისტური სამყაროს კულტურასა და არქეოლოგიას, ბერძნულ ეპიგრაფიკას. საკმარისია ითქვას, რომ აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ანტიკური სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის კორიფეები: პროფესორები ვ.ვ. გაიდუკევიჩი და ქ. კოლობოვა. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოადგინა საკანდიდატო დისერტაცია „ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა მცხეთაში ახ.წ. I-III სს.", რომლის საჯარო დაცვა მოხდა 1958 წელს. ერთხმად აღინიშნა, რომ ეს გამოკვლევა ახალი სიტყვა იყო ქართულ არქეოლოგიაში. სპეციალისტებმა ამ გამოკვლევას მაღალი შეფასება მისცეს. აქედან მოყოლებული, ახალგაზრდა მკვლევარმა მოიპოვა თავისი ღირსეული, წამყვანი ადგილი ქართულ არქეოლოგიაში. 1957 წელს პროფესორების შოთა მესხიასა და ნოდარ ლომოურის თანაავტორობით, მოსკოვში, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ, მეტად ავტორიტეტულ ჟურნალ „ისტორიის საკითხებში" (1957 წ., №4) დაბეჭდა სტატია „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობისა და მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის საკითხისათვის", რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. ასევე წარმატებით დაიცვა 1967 წელს სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ეძღვნებოდა ძველი კოლხეთის ისტორიისა და არქეოლოგიის საკვანძო საკითხებს.

აკად. ო. ლორთქიფანიძემ გაიარა სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა საფეხური, უმცროსი მეცნიერი მუშაკიდან, დოცენტიდან და პროფესორიდან დაწყებული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობით დამთავრებული. 1960 წელს იგი დაინიშნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1972 წლიდან ამავე ინსტიტუტის დირექტორის, აკად. გიორგი მელიქიშვილის მოადგილეა სამეცნიერო დარგში.

1977 წელს იგი სათავეში ჩაუდგა თავისივე ძალისხმევით დაარსებულ არქეოლოგიური კვლევის ცენტრს. აქ განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მისი, როგორც დიდი მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის ნიჭი და შემართება. 1990 წლის 8 იანვარს აკადემიის სისტემაში შეიქმნა დამოუკიდებელი კვლევითი ახალი ინსტიტუტი — არქეოლოგიის ცენტრი, რომელსაც 25 წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

აკად. ო. ლორთქიფანიძის სამეცნიერო შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 2000 წელს მეტად პრესტიჟული ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გახდა. აირჩიეს გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის (ბერლინი) წევრ-კორესპონდენტად. განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა მისი ინიციატივით ვანში, წყალტუბოსა თუ თბილისში ჩატარებულ შავი ზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და ანტიკური არქეოლოგიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებს. უაღრესად დიდია მისი დამსახურება 1985 წელს დაარსებული ვანის არქეოლოგიური მუზეუმის დაფუძნების საქმეში. აქ 4000-ზე მეტი არქეოლოგიური არტეფაქტია დავანებული, რომლის დიდი ნაწილი მისი უშუალო მონაწილეობით არის აღმოჩენილი. დღეს მუზეუმი მისი სახელობისა გახლავთ.

ბატონი ოთარი 1966 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, 2002 წლის 19 მაისამდე, ხელმძღვანელობდა ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომლის აღმოჩენებმა მსოფლიო არქეოლოგიური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ის აირჩიეს კლასიკური არქეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად. ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო აშშ-ში, კანადაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ისრაელში, თურქეთში, ირანში, პოლონეთში, ჩეხეთსა და ბულგარეთში.

აკად. ოთარ ლორთქიფანიძე იყო არაერთი საერთაშორისო არქეოლოგიური ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, კლასიკური მითოლოგიის საერთაშორისო იკონოგრაფიული სამეცნიერო ლექსიკონის (პარიზი) სამეცნიერო კომიტეტის წევრი. 1957 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ანტიკურ (კლასიკურ) არქეოლოგიაში. მისი სახელმძღვანელო „ანტიკური არქეოლოგია" (1971 წ.) დღესაც პოპულარულია. 1991 წელს, ქალაქ ვაინჰეიმში (გერმანია) დაიბეჭდა მისი მონოგრაფია გერმანულ ენაზე სათაურით „საქართველოს არქეოლოგია ქვის ხანიდან შუა საუკუნეებამდე". 1996 წელს ამსტერდამში, ასევე გერმანულ ენაზე, დაიბეჭდა მისი გამოკვლევა „ძველი საქართველო სტრაბონის გეოგრაფიაში", რომელმაც ანტიკური ხანის არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო. ავტორია 20 მონოგრაფიისა და 300-მდე სამეცნიერო წერილისა. საზღვარგარეთ აკად. ო. ლორთქიფანიძეს მიეძღვნა არქეოლოგთა სამეცნიერო შრომების სამი კრებული. მას მიენიჭა მაინცის არქეოლოგიური საზოგადოების მედალი. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. ამერიკელი მეცნიერი ვილერი აღნიშნავდა: „ქართული არქეოლოგიის პოპულარიზაციისათვის არავის გაუკეთებია იმდენი, რამდენიც შეძლო ოთარ ლორთქიფანიძემ". ალბათ, ძნელია ამ სიტყვებს რამე დაუმატო...

ის იყო თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი. გავიხსენოთ თუნდაც მისი ღია წერილი აკად. ა. სახაროვისადმი. მან აღზარდა ახალგაზრდა არქეოლოგთა მთელი პლეადა. ბატონმა ოთარმა და მისმა სათნო მეუღლემ, ქალბატონმა რუსუდანმა, პროფესიით ექიმმა, აღზარდეს ორი ღირსეული შვილი. ქალბატონი ნინო ლორთქიფანიძე მეცნიერებათა დოქტორია, მისი უფროსი ძმა დავით ლორთქიფანიძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი, დმანისის, მსოფლიოში კარგად ცნობილი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ სამარადჟამოდ დაიმკვიდრა თავისი გამორჩეული ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი

გურამ ლორთქიფანიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საქართველოში C ჰეპატიტი 18 წელს ზემოთ მოქალაქეების დაახლოებით 7 პროცენტს აქვს

როგორც დაავადების კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა., წელს მაისიდან აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა პირველი პოპულაციური კვლევა ქვეყანაში B და C ჰეპატიტების გავრცელებასთან დაკავშირებით.

4-თვიანი საველე სამუშაოების განმავლობაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დაახლოებით 6 300 ადამიანი გამოიკითხა, თუმცა 6015 მოქალაქიდან ავიღეთ სისხლის სინჯები. წინასწარი მონაცემებით, რომელიც კიდევ ზუსტდება, თუმცა დიდ ცვლილებას არ ველოდებით, სამწუხაროდ, ისევ ვრჩებით ქვეყნად, სადაც დაავადების გავრცელება მაღალია. გამოკვლეული 6 ათასი ადამიანიდან ანტისხეულები დაფიქსირდა 7,1 პროცენტში.

თავად ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეევნკოს ინფორმაციით კი, ბოლო კვლევაში აღნიშნული მაჩვენებელი 6.7 %-ს შეადგენდა.

ინტერპრესი

◎ არ შეგეშინდეთ!

საყოველთაო ჯანდაცვის თანხები აუცილებლად შეივსება!

როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო დაზღვევის პროგრამას წლის ბოლოს თანხა დააკლდა. წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა ნოემბრის დასაწყისში თითქმის მთლიანად ამოწურულია. ჯანდაცვის სამინისტრომ შიდა რესურსით რაღაც თანხა კი გამოძებნა, მაგრამ იგი საკმარისი არ იქნება. სავარაუდოდ, საქმეში ფინანსთა სამინისტრო უნდა ჩაერთოს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჯანდაცვის პროგრამების 12 თვის ბიუჯეტის გეგმა 21 მილიონი ლარით გაზარდა. აღნიშნული თანხა სამინისტრომ მოიძია სხვა პროგრამების ხარჯების შემცირების შედეგად, კერძოდ ადმინისტრაციული ხარჯების გეგმა შემცირდა 2.3 მილიონი ლარით, სოციალური დახმარებების გეგმა შემცირდა 14 მილიონი ლარით, ხოლო სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციის და აღჭურვის ბიუჯეტი შემცირდა 5.8 მილიონი ლარით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის პროგრამების ბიუჯეტი უკვე 21 მილიონი ლარით გაიზარდა, წლის ბოლომდე ამ მიმართულებით სამინისტროს დასახარჯად დარჩენილი აქვს 30 მილიონი ლარის რესურსი, როცა იანვარ-ოქტომბერში, საშუალოდ თვეში, 65 მილიონი ლარი იხარჯებოდა. აქედან გამომდინარე, სამინისტროს მოუწევს დამატებით 100 მილიონამდე ლარი მოიძიოს. ასეთი მოცულობის რესურსის მოსაზიდად კი 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება იქნება საჭირო.

ყველაზე მეტი თანხა, რასაკვირველია, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას აკლდება. ე.წ. სახელმწიფო დაზღვევას თვეში დაახლოებით 45 მლნ სჭირდება. რამდენადაც 2015 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით 470 მლნ ლარი იყო გამოყოფილი და ეს თანხა თითქმის მთლიანად ათვისებულია, დასამატებელი თანხის ლიმის წილი სწორედ საყოველთაო ჯანდაცვაზე მოდის.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **ზაზა სოფრომაძეც** ადასტურებს, რომ თანხის დამატება აუცილებლად დასჭირდება. ოღონდ თუ რა დამატებითი რესურსი იქნება საჭირო, მინისტრის მოადგილე ასე აკონკრეტებს:

„ეს ძნელი დასათვლელია, ანაზღაურების მექანიზმიდან გამომდინარე. თვის დასრულების შემდეგ, მომდევნო თვის განმავლობაში კლინიკა წარმოადგენს შესაბამის ანგარიშს სოციალური მომსახურების სააგენტოში. მას აქვს უფლება, სამი თვის განმავლობაში წარმოადგინოს საბუთები და ეს თავად მისი მენეჯმენტის გადასაწყვეტია. ამის შემდეგ იწყება ანგარიშის დამუშავება. ხელაღებით, მხოლოდ კლინიკის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს ვერ დავეყრდნობით. ამ მონაცემების დამუშავებისთვის 30 სამუშაო დღეა განსაზღვრული. დამუშავებას, შესაძლოა, თანხების კორექტირება მოჰყვეს", — აცხადებს სოფრომაძე.

როგორც აღვნიშნეთ, წელს პროგრამის ბიუჯეტი 470 მილიონ ლარს შეადგენს: **„სავარაუდოდ, წლის ბოლომდე დაგვჭირდება თანხის დამატება. მთავრობა, ცხადია, საქმის კურსშია და თუ პროგრამას რესურსი დააკლდა, იგი იქნება მოძიებული, რათა არ შეწყდეს პროგრამის განხორციელება",** — აცხადებს სოფრომაძე.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას დაფინანსებასთან დაკავშირებით პრობლემა ნამდვილად აქვს. ბოლო რამდენიმე თვეა ხელისუფლების ოპონენტები და სპეციალისტთა ნაწილი ამაზე აქტიურად საუბრობს. ნაცმოძრაობაში ამბობდნენ, რომ პროგრამას ფული არ ყოფნის და წლის ბოლოს ბენეფიციარებს ჯანდაცვაზე ხარჯის გაწევა საკუთარი ჯიბიდან მოუწევთ. საპირისპიროს ამტკიცებდნენ ჯანდაცვის სამინისტროში.

სოფრომაძის თქმით, პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება: **„სავარაუდოდ, წლის ბოლომდე დაგვჭირდება თანხის დამატება. მთავრობა, ცხადია, საქმის კურსშია და თუ პროგრამას რესურსი დააკლდა, მას მოვიძიებთ, რათა არ შეწყდეს პროგრამის განხორციელება".**

ბექა დანელია

დედამიწის ზურგზე

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის ფორუმზე ერთობლივ დეკლარაციას სამხრეთ ჩინეთის ზღვის გარშემო დავების გამო მონაწილეებმა ხელი არ მოაწერეს

ჩინეთის მხარეს არ სურდა, ფორუმზე დაეყენებინა საკითხი კუნძულების და შელფის შესახებ, რომლებზეც რამდენიმე ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას. შედეგად ამერიკელებმა დააყენეს წინადადება საერთოდ არ მოაწერონ ხელი დეკლარაციაზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელმა შეხვედრების კულუარებში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „ჩინელი ხალხი და ჩინეთის არმია ვერ მოითმენენ სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების დარღვევას“.

ეგვიპტეში დანაღმული ავტომობილის აფეთქებისგან 6 კაცი დაიღუპა

„როგორც როიტერი ქვეყნის სპეცსამსახურების წყაროებზე მითითებით აღნიშნავს, შეტევა გამიზნული იყო ქალაქ ელ-არიმში პოლიციის განყოფილებაზე, რომელიც ჩრდილოეთი სინაის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრია. „ისლამური სახელმწიფოს“ უჯრედმა რომელიც მოქმედებს ეგვიპტეში, ტერაქტზე იკისრა პასუხისმგებლობა. ტერორისტებმა აღნიშნეს, რომ ეს თვითთაფეთქება იყოო.

ჩინეთმა ოფიციალურად დაადასტურა ტაივანის ხელმძღვანელობასთან „ისტორიული“ შეხვედრა

1949 წლიდან ასეთი დონის პირველი კონტაქტის შესახებ ჯერ წყაროები იუწყებოდნენ, შემდეგ ცნობა დაადასტურეს ტაივანზე, მხოლოდ ამის შემდეგ – პეკინში, სადაც აღნიშნეს შეხვედრის დრამატული ხასიათი „ერთი ჩინეთის არსებობის პრინციპებზე“.

ამერიკელმა ექსპერტმა ისაუბრა ახალ პირობებში ავიამზიდების არაეფექტიანობის შესახებ

ავიამზიდის დაჯგუფების მთავარი სუსტი ადგილია – თავად თვითმფრინავები, რომელთა გაფრენის სიშორე შეზღუდულია. შეკავების საშუალებათა განვითარება, კერძოდ რაკეტებისა, რომლებსაც შეუძლიათ გაანადგურონ ავიამზიდები, მიგვიყვანს მისი იმ შესაძლებლობების მინიმუმამდე შემცირებამდე, რომ მივიდეს ნაპირამდე საკმაო მანძილზე და ეფექტიანად გამოიყენოს ავიაცია.

სამძებრო ოპერაცია A 321 ავარიის ადგილზე დამთავრდა. ეგვიპტემ დაასახელა ძირითადი ვერსია

ეგვიპტის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰუსამ ალ-კავიშმა გააჟღერა ავიაკატასტროფის მიზეზის ძირითადი ვერსია: ბორტზე მომხდარი ტექნიკური უწესრიგობანი.

სამხრეთ სუდანში რუსული ნარმოების თვითმფრინავი დაიმსხვრა

ავარია მოუვიდა სერია „ან“-ის საჰაერო ხომალდს. თვითმფრინავის ბორტზე 20 კაცი იმყოფებოდა, ორი მათგანი გადარჩა, განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტის წარმომადგენელმა. ეკიპაჟის ეროვნულობა არ ზუსტდება.

ქინქლამ ნაკლებად რომ შეგანუხოთ

ზაფხულში აგარაკზე ბევრგან აუარება წვრილი ქინქლაა, რომლის ნაკნების შემდეგ კანზე გამკვრივებები ჩნდება და მერე დიდი ხნის მანძილზე არ შუშდება.

ამისგან თავის დასაცავად ენტომოლოგები სპირტიანი ლოსიონის გამოყენებას გვირჩევენ, რომელშიც რომელიმე მკვეთრი სუნის მქონე ნივთიერება, ვთქვათ, ვალერიანა, მიხაკის, ლავანდის, მენთოლისა ან სხვა ეთერზეთი უნდა დაუმატოთ, რადგან ქინქლას მკვეთრი სუნი აფრთხობს. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ნაკბენი ადგილის რაც შეიძლება სწრაფად დამუშავება – ქინქლა „თავდასხმისას“ კანის მიკროსკოპიულ ნაწილს გლეჯს, ჭრილობაში კი ალერგიის გამომწვევი ნერწყვი ხვდება, და ხანგრძლივი შეშუპება წარმოიქმნება. ამიტომაც სააგარაკო აფთიაქში კბენის საწინააღმდეგო საშუალებები უნდა გქონდეთ მომარაგებული. ხოლო მათ, ვისაც ალერგიული რეაქციების მიმართ აქვთ მიდრეკილება, შეუძლიათ ანტიმისტამინური პრეპარატიც მიიღონ.

შავი და მწვანე

ხშირად გსმენიათ, ალბათ, კამათი იმის თაობაზე, თუ რომელი ჩაია უკეთესი – შავი თუ მწვანე. არადა, მათი ქიმიური შემადგენლობა ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება, ამიტომ არჩევანი უბრალოდ, გემოვნებაზეა დამოკიდებული.

დილაობით ბევრს მწვანე ჩაი ურჩევნია, რადგან ის უფრო მეტ კოფეინს შეიცავს, თანაც, ყავისგან განსხვავებით, არც არტერიულ წნევას ამაღლებს, არც გულისცემის გახშირებას იწვევს. თუმცა საღამოს მის სმას უმჯობესია მოერიდოთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში ამან შეიძლება დაძინებაში პრობლემა შეგიქმნათ. თანაც მას შარდმდენი თვისებაც აქვს, რაც გარკვეულ დისკომფორტს შეგიქმნით.

აუცილებლად ისაუზმეთ!

დილით სახლიდან უჭმელი გასვლა მოზარდებში ხშირად პირიდან უსიამოვნო სუნის მიზეზი ხდება, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა მათ სოციალურ ცხოვრებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოყვეს.

უსაუზმები დილაობით სახლიდან ყოველი მეხუთე ბრიტანელი მოზარდი გადის. ანალიზით დადგინდა, რომ მათ შორის, ვინც დილის ტრაპეზს უგულებელყოფს, 36 პროცენტს სუნთქვასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე იმ მოზარდებში, ვინც დილაობით რეგულარულად

საუზმობს. თანაც, მოზარდების ნახევარზე მეტმა, ვისაც პირიდან არასასიამოვნო სუნი ამოსდიოდა, ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ფართო თეძოები და... ინტელექტი

კალიფორნიისა და პიტსბურგის უნივერსიტეტების მკვლევარების განცხადებით, ფაშფაშა ფორმების მქონე ქალები „ჩხინკორებზე“ მეტად საზრიანები არიან, მათი შთამომავლობა კი ინტელექტის უფრო მაღალი დონით გამოირჩევა.

ინტელექტის დონის (IQ) ტექსტებით მათ 16 ათასი მოზარდი გოგონა და ზრდასრული ქალბატონი გამოკითხეს, თან მათი ფიზიკური პარამეტრებიც გაზომეს. გამოქვეყნებულ მასალაში მკვლევარები აღნიშნავენ, რომ „მსხლის“ ან „ქვიშის საათის“ ფორმის ტანის მქონე ქალებს, სქესის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, უფრო სხარტი გონება და მაღალი ინტელექტი აქვთ. თანაც, რაც უფრო დიდია სხვაობა ქალის თეძოებსა და წელის გარშემოწერილობას შორის, მით უფრო მაღალია მისი გონებრივი განვითარების დონე.

ამ ფენომენს მეცნიერები იმით ხსნიან, რომ სწორედ თეძოებში ილექება გაუჯერებელი ცხიმოვანი მჟავები ომეგა-3, რომლებიც ქალის თავის ტვინს კვებავენ, ასევე ფეხმძიმობის დროს მომავალი ბავშვის თავის ტვინის განვითარებას უწყობენ ხელს.

ამავე დროს ის ცხიმი, რომელიც წელში გროვდება, დიდი ოდენობით ცხიმოვან მჟავებს ომეგა-6-ს შეიცავს, რომლებიც თავის ტკივილის განვითარების დონეზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენენ.

მეტი ისწავლეთ...

რაც უფრო ნაკლებს იწონის ადამიანი, მით უფრო მეტად განათლებულია იგი, აცხადებენ ისრაელელი მეცნიერები.

მხოლოდ საშუალო სასკოლო განათლება მიღებული ხალხის გამოკითხვით დადგინდა, რომ მათ შორის, სულ მცირე, ყოველი მეხუთე (23 პროცენტი), სიმსუქნეს უჩივის. ამავე დროს, იგივე პრობლემა მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერებში (კანდიდატებისა და დოქტორების) მხოლოდ 8 პროცენტზე ოდნავ მეტს აწუხებს.

მეცნიერებს უჭირთ იმის ახსნა, თუ რითაა გამოწვეული ასეთი დამოკიდებულება, თუმცა კი ვარაუდობენ, რომ უფრო მაღალი შემოსავლის წყალობით, განათლებული ხალხი გაცილებით ხარისხიან საკვებს მოიხმარს, ცხოვრების გაცილებით ჯანსაღ წესს მისდევს და ა.შ.

რძე... გაბახდუნებთ

ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის მეცნიერთა აზრით, რძის პროდუქტები გახდომის ქმედით საშუალებებს წარმოადგენენ.

გამოკვლევაში გახდომის მრავალმა მსურველმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ნაწილი ორი წლის მანძილზე ყოველ დღე 350 გრამ რძეს სვამდა, დანარჩენები საკონტროლო ჯგუფის როლს ასრულებდნენ. ექსპერიმენტის მსვლელობისას სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, რომ რძის მსმელთა ჯგუფის წევრებმა წონაში დაიკლეს.

მედიკოსებმა დაადგინეს, რომ რძის მომხმარებლებმა, ვინც ყოველდღიურად 100 მილილიტრზე მეტ რძეს სვამდა, წონაში 6 და მეტი კილოგრამი დაიკლეს.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ჭარბი კილოგრამების დაგდებაზე ზეგავლენას ახდენს რძეში D ვიტამინის მაღალი შემცველობა.

როცა თეთრს შავი სჯობს

შვედეთის ლიუნდის უნივერსიტეტის მკვლევართა აზრით, ქერი ხელს უწყობს სისხლში შაქრის ნორმალური დონის შენარჩუნებას. ის ხორბალზე გაცილებით უფრო სარგებლიანია, რომლისგან პურისა და ტკბილეულის უმეტეს ნაწილს აცხობენ.

ხორბლისგან დამზადებული საკვები კი, პირიქით, სისხლში შაქრის მკვეთრ მომატებას პროვოცირებს. მეტიც: სისხლში შაქრის შემცველობა ხორბლით დამზადებული საკვების მიღების შემდეგ შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს, ვიდრე ტკბილეულის ჭამის მერე.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„რუსთავი-2“ კვლავ რევოლუციის შტაბი ხდება

სამშაბათს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ხელისუფლების მომხრე ბიზნესმენის ქიბარ ხალვაშის სარჩელი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის აქციების 100 პროცენტის მისთვის დაბრუნების შესახებ. ამრიგად, საქართველოს ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლები და ახლო მეგობრები კარგავენ მათთვის საკვანძო მედიააქტივს. სხვათა შორის, ოპოზიციური ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას და ჟურნალისტურ კოლექტივს განზრახული აქვს, გაასაჩივრონ მიღებული გადაწყვეტილება, რასაც მიიჩნევენ „ევრაზიული ტიპის ბნელი დიქტატურის“ ნიშნად. ხოლო თუ იგი დადასტურდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ქვეყანაში შეიძლება დაიწყოს ძალოვანი დაპირისპირება. „რუსთავი-2“-ის ეზოში უკვე იწყება ასობით ადამიანის მუდმივი მორიგეობა, რომლებიც მზად არიან, დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას ტელეარხის ხელში ჩაგდების მცდელობის შემთხვევაში.

საქართველოს მთავარ ოპოზიციურ ტელეკომპანიას სააკაშვილის თანამებრძოლებს ართმევენ

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თამაზ ურთმელიძემ დააკმაყოფილა ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის სარჩელი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის აქციების 100 პროცენტის მისთვის დაბრუნების ნაწილში. მოსამართლე დაეთანხმა დასკვნებს იმის შესახებ, რომ 2006 წელს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა „დაშინებითა და ზემოქმედებით“ აიძულეს მოსარჩელე, გადაეფორმებინა „რუსთავი-2“-ის საკონტროლო პაკეტი იმ ბიზნესმენების სახელზე, რომლებიც ახლოს იყვნენ ხელისუფლებასთან, კერძოდ, გიორგი და ლევან ყარამანაშვილებზე, რომლებიც უკრაინაში ცხოვრობდნენ.

ვერდიქტის გამოქვეყნების დროს „რუსთავი-2“-ის ადვოკატებმა დატოვეს დარბაზი პროტესტის ნიშნად. „მოსამართლე ურთმელიძემ სუიციდი ჩაიდინა, — ასეთი კომენტარი გაუკეთა ვერდიქტს ადვოკატმა თამთა მურადაშვილმა. — თამაზ ურთმელიძე შევა ისტორიაში, როგორც სამარცხვინო მოსამართლე, და იგი აუცილებლად დაისჯება“. მეორე ადვოკატმა ზაზა ბიბილაშვილმა მომხდარი გამოაცხადა გეოპოლიტიკური მასშტაბის მოვლენად: „საქართველოში გაფორმდა რუსი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის ევრაზიული ტიპის ბნელი დიქტატურა“.

ამასთან ერთად ადვოკატებმა განაცხადეს, რომ არანაირი უეცარი ცვლილებები კომპანიის მენეჯმენტში არ მოხდება, ვინაიდან ისინი გაასაჩივრებენ მოსამართლე ურთმელიძის გადაწყეტილებას ჯერ სააპელაციო, შემდეგ კი საქართველოს უმაღლეს სასამართლოში. წინა დღით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომლის ყველა წევრიც დანიშნული იყო ჯერ კიდევ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ, შეაჩერა კანონის ნორმების მოქმედება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი შესრულების შესახებ — საქმის სააპელაციო სასამართლო ორგანოებში განხილვამდე.

ამ დროს ინტერნეტში გაჩნდა უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი თავის თანაპარტიელთან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატთან ნუგზარ წიკლაურთან. მასზე ექს-პრეზიდენტი სთავაზობს, განიხილონ საკითხი ყოფილი სპეცნაზელების მოზიდვის შესახებ ტელეარხის დასაცავად. ამას გარდა, ცნობილი გახდა, რომ „რუსთავი-2“-ის დაცვა დაევალა მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის ყოფილ უფროსს თემურ ჯანაშიას. მან უკვე ჩართო მუშაობაში „პირადი“ ოფიცრები, რომლებიც იცავდნენ სააკაშვილს მისი პრეზიდენტობის 10 წლის განმავლობაში.

სატელეფონო საუბრების დროს, რომლებიც გამოქვეყნდა ადრე, ყოფილმა პრეზიდენტმა მოუწოდა თავის თანამებრძოლებს, თანაპარტიელებს, აგრეთვე ჟურნალისტებს „ააგონ ბარიკადები“ და დაიცვან ტელეკომპანია „ძალით“. შემდეგ კი „განახორციელონ რევოლუციური სცენარი“. ვფიქრობ, 1500-2000 ბრძოლისუნარიან მამაკაცს ჩვენ გამოვნახავთ. თუ პოლიცია დაიწყებს სროლას, დაე ისროლონ, დაიღვრება სისხლი და დაიწყება ომი, შემდეგ კი რევოლუცია“, — დახატა პერსპექტივა ოდესის ოლქის გუბერნატორმა.

შემდეგ, ჩანაწერის მიხედვით სააკაშვილმა დაურეკა ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს — ეროვნული უშიშროების საბჭოს ექს-მდივანს გიგა ბოკერიას, განიხილა მასთან ერთად „შეუვალი“ ბარიკადების მშენებლობის შესაძლებლობა იმ შემთხვევისთვის, თუ სასამართლო მიიღებს ხალვაშის სასარგებლო გადაწყვეტილებას, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ნაწილები შეეცდებიან, დაუყოვნებლივ შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება.

„ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ მზად ვართ ფიზიკური დაპირისპირებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას ვერ მივიპყრობთ“, — ხაზგასმით აღნიშნა სააკაშვილმა, კვლავ დაადასტურა, რომ, თუ დაიღვრება სისხლი, „ეს ასეც უნდა იყოს“. უნდა გავაკეთოთ ისე, რომ მათ ვერ შეძლონ, ხელში ჩაიგდონ ტელეკომპანია სროლის გარეშე“, გააკეთა სახელმწიფოს ყოფილმა მეთაურმა ასეთი რეზიუმე.

იმის შესახებ, რომ ხელისუფლება სააკაშვილის გამონათქვამებს ეკიდება მეტად სერიოზულად, მოწმობს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მკაცრი განცხადება პარასკევის სპეციალურ ბრიფინგზე. „ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებთ სიტუაციას, ჩვენი უშიშროების სამსახურები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ“, — დაგვარწმუნა მთავრობის მეთაურმა. პრემიერმა მოუწოდა მოქალაქეებს სიმშვიდისაკენ, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს ურჩია, „ნუ გახდებიან სათამაშოები მომავალ პოლიტიკურ თამაშებში“. „სამარცხვინოა იმათი ცინიზმი, ვინც ოდესღაც წყვეტდა საქართველოს ბედისწერას და შეარცხვინა ჩვენი ქვეყანა“, — ვერ მალავდა ემოციებს მთავრობის თავმჯდომარე. მისი სიტყვებით საქმის ვითარება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ „გულდასმით იქნება განხილული და ყველა დამნაშავე მკაცრად დაისჯება“.

Коммерсант

საქმე №1/157-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 2 ნოემბერი 2015 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“

საარბიტრაჟო მოპასუხე: ანა სანამაშვილი, ანზორ შარაბიძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 15 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს ,,ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ანა სანამაშვილისა და ანზორ შარაბიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 17 თებერვალს შპს „ნოვა კრედიტსა” და ანა სანამაშვილს შორის დაიდო №021514250 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 2200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 60 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა — ვადაგადაცილებილი თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის ანზორ შარაბიძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ინფინიტი G35 სედანი; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2002; ტიპი: სედანი; ფერი: შავი; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №JNKCV51E93M303263; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: BV1370472; სარეგისტრაციო ნომერი: HH707HH;

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ანა სანამაშვილს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ანა სანამაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ანა სანამაშვილი მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ანა სანამაშვილს (პირადი №01025000897) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ანა სანამაშვილს განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ანა სანამაშვილსა და ანზორ შარაბიძეს (პირადი №61006010283) ეცნობოთ, რომ 2015 წლის 30 ნოემბერს 15:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ანა სანამაშვილისა და ანზორ შარაბიძის მიმართ.

5. ანა სანამაშვილსა და ანზორ შარაბიძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)
პროექტის #P148048

დავალების სახელწოდება: მიწის შესყიდვის და განსახლების საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობის კონსულტანტი

კონტრაქტი/ RFP # SLRPIII/CS/ICS-02
საიდენტიფიკაციო SLRPIII PP, პუნქტი No. 37.4

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის** განსახორციელებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **მიწის შესყიდვის და განსახლების საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობის კონსულტანტი.**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CV), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

1. მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში (სოციოლოგია) ან/და საინჟინრო დარგში;
2. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავი ქონების დარეგისტრირების საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;
3. საკადასტრო და აზომვითი სამუშაოების გამოცდილება;
4. მინიმუმ 5-წლიანი ზოგადი სამუშაო გამოცდილება (მათ შორის მინიმუმ 2–წლიანი სამუშაო გამოცდილება სოციალური უსაფრთხოების საკითხების განხორციელებაში);
5. ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა;
6. კომუნიკაციის და მოლაპარაკების ძლიერი უნარი;
7. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: MS Word, MS Excel, Internet, (GIS-ის და AutoCAD-ის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად).

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, ‘კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები‘, განახლებული 2014 წლის ივლისში) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2004 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 19 ნოემბერი, 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: აღ. ყაზბეგის #12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia

Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Project No. P148048

Assignment Title: Land Acquisition and Resettlement Liaison Consultant
Contract/RFP No: SLRPIII/CS/ICS-02
Reference No. SLRPIII PP, Item No.37.4

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Land Acquisition and Resettlement Liaison Consultant.**

The estimated duration of assignment is 6 months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

Required Qualification of the Consultant:

1) At least bachelor's degree in social science (sociology) and/or civil engineering;
2) Experience in working with the issues related to land registration in National Agency of Public Registry;
3) Experience in cadastral and measurement activities;
4) At least five years of overall social development work experience (including at least two years of works experience relevant to the implementation of social safeguards);
5) Knowledge of Georgian language is compulsory;
6) Strong communication skills and negotiating skills;
7) Computer skills: Proficiency in MS Word, MS Excel, Internet, (knowledge of GIS and AutoCAD will be an asset).

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

The Consultant will be selected under Chapter V "Selection of Individual Consultants" selection method, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **November 19, 2015, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

მ. წ. 4 ნოემბერს აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“.

ეს რიგითი მესამე კონფერენციაა, რომელიც ეძღვნება სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს, რომელთა შესწავლა და მეცნიერული დასკვნების გაკეთება, აუცილებელია ადამიანების ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისათვის.

კონფერენცია გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გივი ჯაფარიძემ, რომელიც მიესალმა სტუმრებს და მოკლედ ილაპარაკა კონფერენციის მნიშვნელობაზე, ადამიანების მომავალი ცხოვრებისა და განვითარებისათვის.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: განათლების მინისტრის მოადგილე თ. მარსაგანიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ი. ნოზაძე, საპატრიარქოს წარმომადგენელი ბ. გულუა; ჩამოსული სტუმრები: პოლონეთიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, ბელარუსიდან, უზბეკეთიდან და სხვები.

საერთაშორისო კონფერენცია, საკონკურსო წესით დააფინანსა „რუსთაველის სახელობის ფონდმა“. კონფერენციის მუშაობა გრძელდება სამი დღე; შექმნილია დარგობრივი სექციები, ხოლო შემაჯამებელი პლენარული სხდომა ჩატარდება 6 ნოემბერს, აკადემიის სხდომათა დარბაზში.

კონფერენციის მონაწილეთათვის გათვალისწინებულია საინტერესო ექსკურსიები თბილისსა და მცხეთაში.

სალომე კიკნაველიძე,
აკადემიის პრესსამსახური.

თანამშრომლობა

საპარტნიორო ფონდი აზიის წყლის საბჭოში გაწევრიანდა

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ნათია თურნავა „ნენსკრა ჰესის“ პროექტის ინვესტორი კომპანია K Water-ის მიწვევით კორეის დედაქალაქ სეულში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა.

მან მონაწილეობა მიიღო აზიის წყლის საბჭოს სხდომაში, რომელსაც აზიისა და ევროპის ქვეყნების სამთავრობო და კომერციული სტრუქტურების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. K Water-ის რეკომენდაციით, საპარტნიორო ფონდი აზიის წყლის საბჭოს წევრი გახდა, რაც ფონდს შესაძლებლობებს აძლევს მოიზიდოს დამატებითი ფინანსები წყლის რესურსების მართვის, ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სასმელი წყლისა და საირიგაციო სისტემების და ჰიდროსადგურების განვითარებისთვის.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ შეხვედრები გამართა ასევე K Water-ს პრეზიდენტთან, კორეის ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და კორეის განვითარების ბანკში.

ინტერპრესი

◎ კადრები

შეუცვლელი არავინაა

გუშინ გამართულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი გია ფირცხალავა.

იგი 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო-საარჩევნო ყრილობის შემდეგ გასული 1 თვის განმავლობაში სამსახურში არ გამოჩენილაო, განმარტა მიღებული გადაწყვეტილება ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა.

გუშინვე უთავკაცოდ დარჩა გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია. ვინ შეცვლის საკუთარი განცხადების საფუძველზე გადამდგარ კახა ებრალიძეს, ახლო მომავალში შევიტყობთ.

ბეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

ზაზას 4 ქულა და მარცხი „ტორონტოსთან“

გუშინ ზაზა ფაჩულიას „დალას მავერიქსი“ შინ ნბა-ს რეგულარული სეზონის IV ტურში „ტორონტო რეპტორზთან“ 91:102 დამარცხდა.

„ჯვაროსანთა“ კაპიტანი სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 28 წუთი დაჰყო. ამ დროში ქართველმა გუნდს 4 ქულა და 7 მოხსნა შესძინა. ზაზამ 4-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო სროლა ჩააგდო. ტეხასელთა ცენტრმა 5 პერსონალური ჯარიმა მიიღო და ბურთი 3-ჯერ დაკარგა.

მატჩის ბედი ბოლო მეოთხედმა გადაწყვიტა, რომელიც კანადელთა გამარჯვებით 28:18 დასრულდა. „ტორონტოში“ 27 ქულით საუკეთესო კაილ ლოური გახლდათ, ხოლო მასპინძელთა რიგებში 18 ქულით დირკ ნოვიცკი გამოირჩა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ქართველები დანიელებს უმასპინძლებენ

ლონდონში მდებარე საერთაშორისო საჩოგბურთო ფედერაციის შტაბ-ბინაში დევისის თასის ევრო/აფრიკული ზონის II ჯგუფის წილისყრა შედგა, რომლის თანახმადაც საქართველოს ვაჟთა ნაკრები პირველ რაუნდში დანიას გაეჯიბრება და რაც ყველაზე სასიხარულოა, ამ დაპირისპირებას საქართველო უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ჩოგბურთელებმა II ჯგუფში თამაშის უფლება მას შემდეგ მოიპოვეს, რაც III ჯგუფში ალბანეთს, ისლანდიას, მალტას და ესტონეთს დამაჯერებლად სძლიეს და პირველობა არავის დაუთმეს.

თავის მხრივ, წარუმატებლობა შეემთხვა დანიას, რომელიც I ჯგუფში ასპარეზობდა, თუმცა, რუსეთთან, ესპანეთთან და შვედეთთან წააგო და დაქვეითებას ვერ გადაურჩა.

II ჯგუფის პირველ წრეში სულ 8 წყვილი ითამაშებს: ლიტვა-ნორვეგია, სამხრეთ აფრიკა-ლუქსემბურგი, ბულგარეთი-თურქეთი, ბოსნია ჰერცეგოვინა-ტუნისი, მონაკო-ლატვია, ეგვიპტე-ბელარუსი, ზიმბაბვე-ფინეთი, საქართველო-დანია.

ამ რაუნდის მატჩები 2016 წლის 4-6 მარტს შედგება და ისიც ცნობილია, რომ თუკი საქართველოს ნაკრები წარმატებას მიაღწევს, მე-2 წრეში, 16-18 სექტემბერს, ზიმბაბვეს და ფინეთს შორის უმჯობესს გაეჯიბრება.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ 2017 წლისთვის ევრო/აფრიკული ზონის I ჯგუფში თამაშის უფლებას II ჯგუფის 2 საუკეთესო ნაკრები მიიღებს, უარესი ოთხეული კი III ჯგუფში დაქვეითდება.

ბადრი იაშვილი

◎ სამბო

გია მაღრაძის მორიგი წარმატება

მძიმე წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველმა სპორტსმენმა გია მაღრაძემ ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გამართულ სამბისტთა ევროპის თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ 15-წლიანი პაუზის შემდეგ მაღრაძემ წელს განაახლა ვარჯიში და უკვე ორ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში გიამ ესპანელი ალბერტო სანჩესი დაამარცხა და ევროპის თასის ბრინჯაოს პრიზიორიც გახდა.

წლეულს აპრილში ქართველმა სამბისტმა ესპანეთის თასზე ოქროს მედლის მოპოვებაც შეძლო. მან ნახევარფინალში ხუან ესპინიოს სძლია, რომელიც 5 სეზონის განმავლობაში დაუმარცხებელი გახლდათ.

თანამემამულის წარმატებასთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, მსოფლიოს ჩემპიონმა ავთო ცინცაძემ გააკეთა.

„გია უკვე დიდი ხანია ესპანეთში ცხოვრობს. ძალიან დიდი წარმატებაა ქართული სამბოსთვის, ჩვენი ქვეყნისთვისაც, რომ მან ევროპის თასზე მედალი მოიპოვა. სამბოს სტილით მოჭიდავე ქართველი სპორტსმენები ამ ტურნირზე არ წასულან, რადგან გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც 12-16 ნოემბერს მაროკოში იმართება. ამჟამად ისინი შეკრების დასკვნით ეტაპს გადიან. მანამდე შეკრებები გაიარეს ბაკურიანში, ბორჯომსა და ახლა უკვე გორში“, — განაცხადა ავთო ცინცაძემ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი

ყინული დაიძრა - უელსელთა მწვრთნელმა საქართველოსთან თამაშის სურვილი გამოთქვა

მსოფლიო თასი დასრულდა, თუმცა, არც ახლა წყდება საუბრები თეორიებზე და შესაძლებლობებზე, თუ როგორ უნდა გაიზარდოს მეორე დონის ქვეყნებისთვის მატჩების ოდენობა პირველი დონის ქვეყნების წინააღმდეგ. ექვსი ერი გავზარდოთო, არაერთ გამოცემას თუ სპეციალისტს, მათ შორის ინგლისის ყოფილ მწვრთნელს, სერ ქლაივ ვუდვორთსა და რაგბის ევროპის პრეზიდენტ ოქტავიან მორაირუსაც უთქვამთ.

თუმცა, ამ მხრივ პირველი ნაბიჯი, თუნდაც სურვილის გამოთქმით, უელსელთა ახალზელანდიელმა მწვრთნელმა უორენ გეთლენდმა „საუს უეილზ არგაზისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გამოხატა.

ნოემბერში მილენიუმზე?

„გასული მსოფლიო თასი განსაკუთრებით დასამახსოვრებელი, რა თქმა უნდა, იმით იყო, იაპონიამ რომ სამხრეთ აფრიკა დაამარცხა, ასევე საქართველომ ტონგას რომ მოუგო.

„ამავდროულად კი ზოგიერთი პირველი დონის გუნდი მეორე თავისნაირს თამაშში 40 ქულასაც უპირისპირებდა. ნაპრალი პირველი და მეორე დონის ქვეყნებს შორის სულ უფრო მცირდება. მათ მოსამზადებლად უფრო მეტი დრო და საშუალება ეძლევათ და მათი მოთამაშეები ევროპის წამყვან დივიზიონებში ასპარეზობენ.

„წინა კვირას უელსის რაგბის კავშირში გახლდით შეხვედრაზე, სადაც მკითხეს, თუ რას ვფიქრობდი, უელსმა შემოდგომის ტესტებზე მეორე დონის ნაკრებები რომ მიიღოს. ჩემი პასუხი გახლდათ „დიახ“! რადგან მათი თამაშის დონის განვითარება ნაწილობრივ ჩვენს მოვალეობასაც წარმოადგენს.

„რეალურად ახალი ზელანდია მეორე დონის ქვეყნებს მხოლოდ მსოფლიო თასზე ეთამაშება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიფიქროთ ისეთ ქვეყნებზე, როგორიც საქართველოა და არა მხოლოდ მათზე, ვისაც მეტი ფულის მოტანა შეუძლია“.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ეს რეკორდია!

ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფური რაუნდის მეორე წრე დაიწყო, მადრიდის „რეალი“ კი ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც ჯერ გოლი არ გაუშვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „სამეფო კლუბის“ მეკარე კეილორ ნავასი ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ახალი რეკორდსმენია!

ამავე „ა“ კვარტეტის კიდევ ერთმა ბინადარმა დონეცკის „შახტარმა“, პირიქით, ნავსი შედეგიანი თამაშით გატეხა და „მშრალი სერია“ შვედების კარის დასეტყვით შეწყვიტა.

IV ტურის შედეგები: „ა“ ჯგუფი. „რეალი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:0, „შახტარი“ — „მალმიო“ 4:0.

„რეალი“ — 10, „პარი სენ-ჟერმენი“ — 7, „შახტარი“, „მალმიო“ — 3-3 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. „მანჩესტერი“ — ცსკა 1:0, „ეინდჰოვენი“ — „ვოლფსბურგი“ 2:0.

„მანჩესტერი“ — 7, „ეინდჰოვენი“, „ვოლფსბურგი“ — 6-6, ცსკა — 4 ქულა.

„გ“ ჯგუფი. „ასტანა“ — „ატლეტიკო“ 0:0, „ბენფიკა“ — „გალათასარაი“ 2:1.

„ბენფიკა“ — 9, „ატლეტიკო“ — 7, „გალათასარაი“ — 4, „ასტანა“ — 2 ქულა.

„დ“ ჯგუფი. „სევილია“ — „სიტი“ 1:3, „გლადბახი“ — „იუვენტუსი“ 1:1.

„სიტი“ — 9, „იუვენტუსი“ — 8, „სევილია“ — 3, „გლადბახი“ — 2 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ვინ ეკურკურებოდა ირინა შეიკს?

ის-ის იყო ვიფიქრეთ, როგორც იქნა ირინა შეიკის სახელის სპორტთან და საფეხბურთო ვარსკვლავებთან დაკავშირება საბოლოოდ ჩაბარდა წარსულსო, რომ ახლა უკვე თავად ირინამ ამოიდგა ენა და განაცხადა, რომ ადრე კრიშტიანუს ტრფობის პარალელურად მას ასევე ერთ-ერთი ცნობილი ფეხბურთელიც ეკურკურებოდა და ეს კურკური დღესაც გრძელდება.

თუკი ამ თვალისმომჭრელი სილამაზის მოდელის წარსულის დღეებს გადავხედავთ, შეიძლება ეჭვი კრიშტიანუს საუკეთესო მეგობარზე და მადრიდის „რეალში“ მის ყოფილ თანაგუნდელზე, ლეგენდარულ იკერ კასილასზე მივიტანოთ, რომელთანაც ირინა შეიკს საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

როგორც იცით, იკერის გული ბოლო წლებია დაკავებულია და იგი, ალბათ, არასოდეს დაადასტურებს იმას, რომ მეგობრის გულისსწორს უჟუჟუნებდა თვალებს. მაშაბა სხვა ვინ? იქნებ ირინა ცდება? იქნებ არ ცდება და ახალი სკანდალის ასატეხად ამბებს იგონებს? იქნებ სიზმარიც არ იყო, კნიაზჯან?...

როსტომ რაჭველიშვილი

მეგობრის გახსენება

რომან ხუნდაძე



გამოგვაკლდა **რომა ხუნდაძე** და კიდევ უფრო გაუფერულდა ისედაც გაღარიბებული ჩვენი სამეგობრო. მწარეა და ძნელად გასაძლისი ძმის სადარი მეგობრის დაკარგვა, მეგობრისა, რომელთანაც შეუბღალავი ძმაკაცობა შვიდ ათეულ წელს ითვლის.

იყო დრო, როდესაც ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები სრულიად უდარდელად, გაუთვითცნობიერებლად ჩამოვაგდებდით ხოლმე საუბარს სიკვდილ-სიცოცხლეზე, მივაღწევდით თუ არა 21-ე საუკუნემდე, ვინ წავიდოდა ჩვენგან პირველი და თავს ვიწონებდით, ერთმანეთს პირველობას არ ვუთმობდით.

ეს ჟამიც დაგვიდგა და არაერთხელ! ამჯერად, რომამ მაჯობა და კიდევ ერთი ღრმა, უკურნებელი ჭრილობა მომაყენა.

რომა ხუნდაძე - გამორჩეული პიროვნება, თავისი ქვეყნის ერთგული მოამაგე, მოყვასი და კეთილმსურველი.

შთამბეჭდავი გარეგნობის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, მხრებში ოდნავ მოხრილი, თავისებური მიხვრა-მოხვრით და საუბრით, ძნელი არ იყო მასში კეთილშობილების და დიდკაცობის ამოცნობა.

ყოველივე მშობლებიდან გადმოეცა. ძია შალვას ნათელი ედგა სახეზე, ოჯახში სუფევდა დიდი სითბო და სიყვარული. რომას მეგობრებს შვილებში არ გვარჩევდნენ და დიდი ამაგი აქვთ ჩვენზე გაწეული.

მთელი ოჯახი სამედიცინო სფეროში მოღვაწეობდა. ძმა და ბიძები ცნობილი ქირურგები იყვნენ, უდიდესი ღვაწლი აქვთ გაღებული ქართული მედიცინის განვითარებაში. რომაც მათ კვალს გაჰყვა, შინაგანი ბუნება ხელს უწყობდა, გამხდარიყო დიდი ექიმი. მან მოსკოვში განვლო მეან-გინეკოლოგიის გამოცდილების ხანგრძლივი გზა, ორდინატურიდან სამშობიარო სახლის ხელმძღვანელობამდე. სარგებლობდა საავადმყოფოს პერსონალის უდიდესი პატივისცემით, პაციენტების დიდი სიყვარულით. ყველა ცდილობდა მასთან მოხვედრას, მისი მზრუნველობის ქვეშ ყოფნას; იგი ხომ ყურადღებას არავის მოაკლებდა.

იგივე გაგრძელდა თბილისშიც. სწრაფად გაითქვა სახელი, ვინ მოთვლის, რამდენის შვილი და შვილიშვილი პირველად მან ჩაიკრა გულში, უყვარდა ახალშობილის შუბლზე კოცნა.

განსაკუთრებული პიროვნება იყო. 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრის დროს, როცა ხალხი გადასარჩენად შენობების გარეთ თავშესაფარს ეძებდა, ის, საავადმყოფოს კედლებში დარჩა ხელში აყვანილ რამდენიმე ჩვილ ბავშვთან ერთად.

ცნობილ ექიმს - რომა ხუნდაძეს, ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა ავადმყოფის საკუთარი სახსრებით, იმ დროს ძნელად საშოვნელი წამლებით უზრუნველყოფა. იგი ყოველთვის მზად იყო პაციენტების უანგაროდ მომსახურებისთვის. არაერთხელ წამოვუგდივარ შუა ღამეს, ავადმყოფისთვის პირველი ჯგუფის უარყოფითი რეზუსის დეფიციტური სისხლის მისაცემად. რესპუბლიკის მთავარი მეან-გინეკოლოგი - რომა ხუნდაძე წლების მანძილზე აქტიურად იყო ჩაბმული სანიტარიული ავიაციის სამსახურში და საგანგებო შემთხვევების დროს, ხშირად დახმარებია მრავალ ავადმყოფს საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც დღესაც დიდი მადლიერებით იხსენებენ.

რომა სპორტული ნიჭით გამოირჩეოდა, სიყვაწვილეში შესანიშნავად თამაშობდა ფეხბურთს, იყო კარგი მოცურავე და მოთხილამურე. რაც შეეხება კალათბურთს, პროფესიონალურ დონეზე თამაშობდა, 1958 წელს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში გახდა საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ჩემპიონი, მოპოვებულ სამეცნიერო ხარისხებზე მეტად ამაყობდა ჩემპიონის ოქროს მედლით, რაც ხშირად, ჩვენი ხუმრობის საგანი ხდებოდა.

რომან ხუნდაძეს ჰყავს შესანიშნავი მეუღლე — ლალი ქეცბა, ცნობილი გერმანისტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ლალიმ შესანიშნავი შვილი გაუზარდა რომას — შალვა რომანის ძე ხუნდაძე, ღირსეულზე ღირსეული პიროვნება, არანაკლები თავის მამაზე. შაკო გერმანიაში მოღვაწეობს, იქ ემსახურება თავის ქვეყანას, თავის სამშობლოს. გასახარია, რომ შაკო გარშემორტყმულია მეგობრებით, რომლებიც უანგარო სიყვარულში ჩვენ ტოლს არ დაგვიდებენ. შაკო მშვენიერი ოჯახის პატრონია, ჰყავს ორი ვაჟიშვილი — რომა და ლუკა, ჰფარავდეთ ღმერთი და იყვნენ ბედნიერნი!

გავიდა 40 დღე... ჩვენ, ყველა ვლოცულობდით და ვილოცებთ: უფალო ღმერთო, დაუმკვიდრე რომან ხუნდაძეს სასუფეველი ღირსეულ და საუკეთესო ქართველთა შორის!

ვახტანგ გვახარია

საკომუნიკაციო სფერო

როგორც ჩანს, საქართველოს საკომუნიკაციო ბაზარზე სუპერმონოპოლისტის შემოსვლის საკითხის გარკვევა გაურკვეველი ხნით გადაიდო. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სს „სილქნეტისა“ და შპს „კაუკასუს ონლაინისა“ მიერ წლეულს, 11 აგვისტოს შეტანილი ერთობლივი განცხადება კომპანიების შერწყმის შესახებ მარეგულირებლის წინასწარი თანხმობის თაობაზე არ განიხილა. ამას, ბუნებრივია, ის შედეგი მოყვა, რომ სამამულო ინტერნეტ-სივრცეში ორი დიდი კომპანიის მაგივრად ერთი მონოპოლისტი, ჯერჯერობით მაინც, არა გვყავს.

„სილქნეტისა“ და „კაუკასუს ონლაინის“ შერწყმის საქმის ადმინისტრაციული წარმოება კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ წლეულს აგვისტოში დაიწყო. საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის წარდგენისთვის მათ 20 ოქტომბრამდე ვადა მიეცათ, რომელთა საფუძველზე კომისია, კომპანიების შერწყმის შემთხვევაში, ინტერნეტ-ქსელის მომსახურების ბაზრის საბითუმო და საცალო სეგმენტში კონკურენციის შეზღუდვის შესაძლო ალბათობა უნდა განეხილა. კომისიას ასევე საქართველოში ინტერნეტ-ბაზარზე არსებული მდგომარეობა უნდა შეესწავლა და გაერკვია, თუ რა საფრთხეების წინაშე აღმოჩნდებოდა კონკურენტული გარემო კომპანიების გაერთიანების შემთხვევაში. ამის გარდა, კომისიამ, საკითხში უფრო დაწვრილებით გარკვევის მიზნით, სხვადასხვა დოკუმენტაციის წარდგენა ასევე სხვა ინტერნეტ-პროვაიდერებსაც სთხოვა.

იმის გამო, რომ მიცემულ ვადაში „სილქნეტმა“ და „კაუკასუს ონლაინმა“ გამოთხოვილი დოკუმენტაცია კომისიაში არ წარადგინეს, მარეგულირებელმა ორგანომ ამ ორი სუბიექტის შერწყმის თაობაზე აღნიშნული განცხადება აღარ განიხილა, რაც, ავტომატურად, იმას ნიშნავს, რომ უახლოს მომავალში მათი გაერთიანება ვერ შედგება.

28 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე „სილქნეტის“ წარმომადგენელმა („კაუკასუს ონლაინის“ წარმომადგენელი მას არ ესწრებოდა) კომისიას საკითხის განხილვის 11 ნოემბრისთვის გადატანის თხოვნით მიმართა, რაზეც მისმა თავმჯდომარემ ვახტანგ აბაშიძემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ორი კვირის ვადაში მასალების სრულფასოვანი ანალიზი ვერ მოესწრება. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით უცნობია, აპირებენ თუ

„ცივი ომი“ ინტერნეტ-ბაზარზე

არა კომპანიები მარეგულირებელი კომისიის წინაშე აღნიშნულ საკითხის ხელახლა დაყენებას. თანაც, არსებული ინფორმაციით, კომისია კიდევ ერთხელ იმსჯელებს იმის თაობაზე, განიხილავს თუ არა „სილქნეტისა“ და „კაუკასუს ონლაინის“ შერწყის შესახებ განცხადებას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პროვაიდერები მას ამ თხოვნით ხელმეორედ მიმართავენ. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ამ პროცედურას კიდევ სამი თვის ვადა დასჭირდება. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ორი კომპანიის შეერთების საკითხს ართულებს. საქმე ისაა, რომ კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იყო „კაუკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელის მამია სანადირაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ იმის გამო, რომ მას კომპანიაში წილი იძულებით დაათმობინეს, ამჟამად ლონდონის სასამართლოში დავა მიმდინარეობს, რომლის გადაწყვეტამდე ორი კომპანიის შერწყმის საკითხი არ უნდა განიხილებოდეს, თანაც პროკურატურაში მას სათანადო განცხადება აქვს შეტანილი. არადა, ვიდრე „კაუკასუს ონლაინში“ მესაკუთრეთა წილები დაყადაღებული არ არის, გადაწყვეტის მიღება შესაძლებელია, მაგრამ რამდენად გაიზიარებენ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში ამ არგუმენტს, უცნობია. ამასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ აბაშიძემ კერძოდ, განაცხადა:

— საჭიროა დამატებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაზეა კონკრეტულად საუბარი ლონდონის სასამართლოში, ასევე პროკურატურაში აღძრული საქმის შესახებ. ამ ინფორმაციას გამოვითხოვთ და შევავასებთ, თუ რამდენად შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის განხილვაზე ბატონ მამია სანადირაძის მიერ ნახსენებმა ფაქტებმა, — აღნიშნა მან.

როგორც ჩანს, სამამულო ინტერნეტ-ბაზარზე დიდი ცვლილებების დრო დგება — „კაუკასუს ონლაინი“ მობილური კავშირგაბმულობის ყველაზე დიდ კომპანიასთან სს „მაგთან“ გაერთიანებასაც აპირებს, რის თაობაზე შესაბამისი განცხადება კომუნიკაციების ეროვნული კომისია 5 ნოემბერს განიხილავს. ბუნებრივია, რომ ამის კატეგორიული წინააღმდეგია მამია სანადირაძე, რომლის ადვოკატის ციცინო დევრისაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე „კაუკასუს ონლაინის“ ვერც ერთი შემძენი მისი კეთილსინდისიერი მფლობელი ვერ გახდება.

ცალკე აღსანიშნავია, რომ „კაუკასუს ონლაინის“ ასეთი აქტივობა „სხვაზე მიყიდვის“ მხრივ იმითაა განპირობებული, რომ, როგორც ბატონი სანადირაძე აცხადებს, თავის დროზე კომპანიაში წილი მას სააკაშვილის ჯგუფმა ძმებ ყარამანაშვილების მეშვეობით დაათმობინა. ამჟამად „კაუკასუს ონლაინის“ დიდი კრედიტი აქვს წარმოკიდებული და მისი გაყიდვით დანაშაულებრივი კვალის დაფარვს ცდილობს. ამასთან, „კაუკასუს ონლაინის“ შეძენით ასევე დაინტერესებუნი არიან თურქეთისა და რუსეთის კომპანიები. ბატონ სანადირაძის თქმით, ან ერთ, ან მეორე შემთხვევაში, ახალი მფლობელი, ფაქტობრივად, „ჩაკეტავს“ საქართველოს და ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენებს. ამასთან, იგი დასძენს, რომ სააკაშვილის მიერ შექმნილი ყველა მონოპოლისტი დღესდღეობითაც არსებობს და თავსაც არხეინად გრძნობს, მათგან მიღებულ სახსრებს კი ნაცმოძრაობა პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად იყენებს.

ოთარ ტურაგელიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთის ღვაწლმოსილი პედაგოგის

ლამარა შალვას ასული ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

დასუფთავების მანქანები პიკის საათში თბილისის ვიწრო ქუჩებში აღარ იმუშავებენ

მერიამ დასუფთავების სამსახურის ავტომანქანების მუშაობის სპეციალური რეჟიმი შეიმუშავა. როგორც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ისინი ვიწრო ქუჩებში პიკის საათებში აღარ იმოძრავებენ.

„ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში, სადაც ვიწროა ქუჩები და ინტენსიურია მოძრაობა, ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური გრაფიკი, რომლის მიხედვითაც, დილის 9-ის ნახევრიდან 11-ის ნახევრამდე და საღამოს 6-ის ნახევრიდან 9-ის ნახევრამდე ანუ პიკის საათებში დასუფთავების ავტომანქანები ასეთ ვიწრო ქუჩებში აღარ იმუშავებენ.

ეს გარკვეული თვალსაზრისით იმოქმედებს მოძრაობაზე და ინტენსიურს გახდის გადაადგილებას“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ამასთან, თბილისის მერმა მოქალაქეებს მიმართა და სთხოვა, დასუფთავებასთან დაკავშირებულ საკითხს „სამოქალაქო პასუხისმგებლობით“ მოეკიდონ, რათა ერთიანი ძალისხმევით შეძლონ დედაქალაქში სისუფთავის შენარჩუნება.

◎ კაცია და გუნება

მილიონერები, რომელთაც სასახლე ქოხზე გაცვალეს

ისტორია მილიარდერების შესახებ, **რომელთაც უარი თქვეს ფუფუნებაში ცხოვრებაზე, უზარმაზარ სასახლეებსა და ძვირადღირებულ მანქანებზე, ერთი შეხედვით კინოფილმის სიუჟეტს ჰგავს.** თუმცა, რეალურ სამყაროში არსებობენ ადამიანები, რომელთაც ქონებაზე სრულად თქვეს უარი და ცხოვრების თავიდან, ფულის გარეშე დაწყება ამჯობინეს.

კომპანია DR International-ის დამფუძნებელმა **ბანვარალა დოშიმ** რამდენიმე თვის წინათ უარი თქვა 600-მილიონიან ქონებაზე. ინდოელმა ბიზნესმენმა ჯანაიზმი მიიღო და ბერად აღიკვეცა.

ავსტრიელმა **კარლ რაბედერმა** პირველი მილიონი 32 წლის ასაკში იშოვნა, 47 წლისამ კი უარი თქვა ქონებაზე. რაბედერმა ქონება თანდათანობით გაყიდა და არაკომერციული ორგანიზაცია MyMicroCredit-ი დაარსა, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. ორგანიზაცია აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში მცხოვრებ ღარიბებს ეხმარება. თავად ყოფილი მილიონერი ერთ პატარა სახლში დასახლდა და ახლა მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო ლექციების კითხვაა თემაზე „რამდენი ფულია საჭირო ბედნიერებისთვის“. ქონებაზე უარის თქმის შემდეგ კარლ რაბედერი მეუღლემ მიატოვა.

ბრიტანელმა მილიონერმა **ჯონ პედლიმ** ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ გადაიტანა – იჯდა ციხეში, იყო ალკოჰოლიკი, ავტოავარიის შემდეგ კი ექვსი კვირის განმავლობაში კომაში იყო. კომიდან გამოსვლისა და გამოჯანმრთელების შემდეგ პედლი ეკლესიური გახდა და ქველმოქმედებით დაკავდა. ის მალევე შეელია თავის სატელეკომუნიკაციო ბიზნესს და ექვს მილიონ ფუნტად ღირებულ სასახლეს. ჯონ პედლიმ ქონების გაყიდვით დაგროვილი ფული Uganda Vision-ის ფონდში გადარიცხა. ფონდი უგანდელ ობოლ და ღარიბ ბაშვებზე ზრუნავს, რომელთაც დახმარებას ბრიტანელი ახალგაზრდები უწევენ. უგანდაში გადაბარგდა საცხოვრებლად თავად ბრიტანელი მილიონერიც, რომელიც მოხალისედ მუშაობს.

იანუშ რივერიმ, რომელმაც სახელი პროდიუსერობითა და საფეხბურთო აგენტობით გაითქვა, ქონებაზე უარი თქვა და მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა გადაწყვიტა. მილიონები რივერიმ თავის დროზე რუსეთში იტალიელი ვარსკვლავების კონცერტის გამართვით იშოვა. 15 წლის განმავლობაში ექსცენტრიულმა მილიონერმა მსოფლიოს 150 ქვეყანაზე მეტი მოინახულა. სხვებისგან განსხვავებით, იტალიელმა პროდიუსერმა, რომელსაც ახლა არც სახლი აქვს და არც მანქანა, ქონება ბანკში შეინახა და ბანკისგან პირობა აიღო, რომ თვეში მხოლოდ 100 დოლარს დაურიცხავდნენ ანგარიშზე. რივერიმ ასევე შეადგინა ანდერძი, რომლის თანახმად იტალიელის გარდაცვალების შემდეგ, მის ფულს რუსეთისა და ბელორუსის ბავშვთა სახლში მცხოვრები ბავშვები მიიღებენ.

ჩინელი მილიონერი **ლიუ ძინჩუნი,** რომელიც „ტექსტილის ბარონად“ იყო ცნობილი, მძიმე ავტოავარიაში გადარჩენის შემდეგ ბუდიზმმა გაიტაცა. მალე მილიონერმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა მთელ ქონებაზე და მთებში, ერთ მომცრო ქოხში გადაბარგებულიყო, სადაც ახლა მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებს.

Duty Free-ის დამაარსებელი **ჩარლზ ფინი** თანამედროვეობის ყველაზე დიდი ფილანტროპია, რომელიც კაპიტალს ცხოვრებაში შეელია. 15 წლის განმავლობაში მისი ქველმოქმედების შესახებ არავისთვის იყო ცნობილი, ამერიკაში კი წლების განმავლობაში არ იცოდნენ, რომ ქვეყანას ერთით მეტი მილიარდერი ჰყავდა.

ბოლო 32 წლის განმავლობაში Duty Free-ის დამაარსებელმა ქველმოქმედებისთვის 6,5 მილიარდი დოლარი გაიღო. 84 წლის მილიარდერი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, მაჯას კი 15-დოლარიანი საათი უმშვენებს.

◎ ინფორმაცია

მკვლელი ოთხი წელი იმალებოდა

პოლიციმ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2011 წლიდან განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი, 1979 წელს დაბადებული მანუჩარ მ. რუსთავში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, მანუჩარ მ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 5 მჭიდი და 165 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2011 წლის 6 მარტს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა 1984 წელს დაბადებული ვ. ბ. და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მანუჩარ მ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი – მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **აიღე** კრედიტი?
— არ მომცეს!
— გრაფა „შემოსავალში“ რა ჩაწერე?
— 4-5 მობილური თვეში...

* * *

— **შენ** ცხენების გეშინია?
— არა!
— იმათ შენი?

* * *

— **ჩვენი** ფირმა მოლარეს ეძებს.
— ხომ აიყვანეთ მოლარე ერთი კვირის წინათ?
— აი, სწორედ მაგას ვეძებთ.

* * *

სტადიონის შესასვლელში:
— ბიჭუნა, სად იშოვე ბილეთი ასე ძვირადღირებულ მატჩზე?
— მამაჩემმა იყიდა.

— **თვითონ** სად არის?
— სახლში. ბილეთს ეძებს...

* * *

კბარზე ზარია:
— **გამარჯობა!** მე თქვენი მეზობელი ვარ, — ეუბნება ზღურბლთან მდგომი მამაკაცი დიასახლისს.
— ზევიდან თუ ქვევიდან?
— რა... ეგრე პირდაპირ?
— ...

* * *

— **ალო!** ასოციაციია „კონტინენტალი“ გაწუხებთ...
— ასოციაციია „კონტინენტალი“ სულაც არ გვაწუხებს, — უპასუხეს და ყურმილი დაუკიდეს.

* * *

— **მისო,** ხვალ მშობლების გარეშე სკოლაში არ მოხვიდე!
— ზეგ?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე